უკან დარჩა ერთი საუკუნე

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 31 ივლისი. 2018 წ. №153 (8554) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პირღნიოშობის რეკორდი,

2

ანუ პოლიტიკური ჯამბაზი სააკაშვილის რუსთავორელი ჯამბაზები



პასკალ მენიემ მამუკა ბახტაძეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური მილოცვა გადასცა

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე საფრანგეთის ელჩს საქართველოში პასკალ მენიეს შეხვდა. დიპლომატმა საქართველოს მთავრობის მეთაურს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მიერ გამოგზავნილი ოფიციალური მილოცვა გადასცა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ მაღალი დონის პოლიტიკურ ურთიერთობებს და აღინიშნა ეკონომიკური კავშირების მასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა. საფრანგეთის ელჩმა დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმები, მათ შორის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების მიმართულებით.

ხაზი გაესვა ბიზნესებს შორის კავშირების გააქტიურების მნიშვნელობას. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მიესალმება და ყოველთვის მხარს დაუჭერს საქართველოში ფრანგული ინვესტიციების განხორციელებას. ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას. ფრანგმა დიპლომატმა დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ხელს უწყობს ხალხთაშორისი კონტაქტების გააქტიურებას და ნდობის აღდგენას.

ნიკოლოზ ბასილაშვილის ისტორიული გამარჯვება



10

რა მივიღეთ ნატოსგან და რა გეგმა აქვს ისტერიკაში ჩავარდნილ პუტინს

5

10000-მდე ქართველი თურქეთის პლანტაციებში მუშაობს

ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინიციატივით, საკონსულოს ჯგუფი, ექიმ ალი ილმაზთან ერთად, რიზეს ხუთ ქარხანას ეწვია.

შეხვედრები ძირითადად გაიმართა ჩაის სექტორში დროებით დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეებთან, რომელთაც განემარტათ მათი სამართლებრივი მდგომარეობა, უფლებები, აგრეთვე მუშაობის ნებართვის მიღების პირობები.

ექიმმა ალი ილმაზმა საქართველოს მოქალაქეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ რიზეს რეგიონში ჩაის პლანტაციებში დასაქმებულია 10 000-მდე საქართველოს მოქალაქე, ხოლო ჩაის ფაბრიკებში 1000-მდე საქართველოს მოქალაქე.

„ხავერდოვანი დიქტატორის“ პორტრეტი საუბილეო ინტერიერში

6

რუბენ სტურუა ეუბნებოდა!

გამორჩეული პოლიტიკოსი,

რომელსაც „არც თავში ავრადნია“, არც „მიწაზე ფორთხვა“ და თავსაფრის „ღეჭვა“ დაუწყია...

სპრეზიდენტი მარკეთინი

3

გაზეთის დახმარების მსურველებს:

შეგიძლიათ, ნებისმიერი ოდენობის თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009 (შპს „ახალი საუკუნე“).

◎ ბოროტების აქცენტები

პირღნიოშობის რეკორდი,

ანუ პოლიტიკური ჯამბაზი სააკაშვილის რუსთავორელი ჯამბაზები

ალბათ მხოლოდ ცხონებული დიდი ფროიდი თუ დაუსვამდა დიაგნოზს ნაციონალთა თავგადაკლულ აგიტატორებს – „ერთი მშვენიერი ადგილის“ დაუფარავად პატივისმცემელ გვარამია დირექტორს და არანაციონალთა ყველა სიტყვის ცნობილ ავად გამტრიზავებულ კვესიტაძის ქალს, რომელნიც ყოველ კვირა საღამოს პირღნიოშობის უჩვეულო რეკორდს ამყარებენ და ამ თავიანთი ბოროტი პირღნიოშობით უწინარესად საკუთარ თავს იმჟღავნებენ, ნიღბებს იხსნიან, ძალად მართლის მთქმელობის გრიმსაც ირეცხავენ სახეებიდან, და გონიერი მაყურებელი თუ მსმენელი ეგრევე ხვდება, რა ჯიშის არამზადებთანაც აქვს საქმე.

ნაციონალებისთვის და, კერძოდ, ბოროტმოქმედ სააკაშვილისთვის ისევ ხელისუფლებისკენ გზის გაწალდვის მიზნით, ავგური მეაქცენტეები, თქვენგან უშვერად გალანძღული ადრესატის ადგილას თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის იმის მეასედი სიკეთის მქმნელი კაცი, რა სიკეთეც ამ ადამიანს დღემდე ქვაზე კი არ დაუდვია, არამედ ამჟამინდელ ქართულ სინამვდილეში დაუთესავს, შემდეგნაირ პასუხს გაგცემდით:

ჯერ ეს ერთი, უპირველესად, ნიკა ბიჭო და ეკა გოგო, ორივენი საშინელი უზრდელები ხართ, წესიერ, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლიან ოჯახებში თქვენისთანა გატინგიცებული, ჰარიარალე ადამიანები არ იზრდებიან.

მეორეც, ვითომ „შეფასებები“, რომელთაც თქვენთვის არსებითად უცხო ადამიანის დასაკნინებლად იყენებთ, აშკარად „უტვინობის ტვინის“ საცოდავი ნაჭყლეტია. ეს მაშინ, როცა თქვენგან განქიქებულ პიროვნებას „ხერხემლის ტვინი“ მაინც ჰქონია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამის მთქმელებს კუდუსუნშიღა შეგრჩენიათ „უტვინობის ტვინის“ ნატამალი.

მესამეც, ვის უწიგნურობაზე პირღნიოშობთ, როცა თქვენი ცრუ მეტყველებისდა მიხედვით, რომელი წიგნი წაიკითხეთ ბოლოს თავიდან ბოლომდე, არც ერთს აღარ გახსოვთ, უფრო სწორად, თქვენი წყალწყალა ლაქლაქიდან ჩანს. თქვენი ირონია და უსაგნო ქილიკი უწინარესად თქვენივე უწიგნურობის ბრალია, რადგან წიგნიერი ადამიანები თქვენისთანად არ მეტყველებენ. ეს საქმის არსში ჩაწვდომის უნარს მოკლებულ ადამიანებს ემართებათ.

მეოთხეც, თუ არა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად დემოკრატიული კლიმატი, რასაკვირველია, თქვენ ამდენს ვერ იპირღნიოშებდით... ისიც საკითხავია, რა ხდება, რატომ აგვიანებს პასუხს სტრასბურგი, რომელიც უკვე მეორე წელიწადია, ასე საეჭვოდ აჭიანურებს ამ ტელეარხის კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას. ნუთუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ „ნაციონალებმა“, კერძოდ, ნეოფაშისტმა სააკაშვილმა ძალისძალათი მიიტაცა „რუსთავი-2“ და „ცრუსთავად“ აქცია?! რომელსაც ახლა „ოცნების“ წინააღმდეგ „იდეოლოგიურ არტილერიად“ იყენებს.

სტრასბურგიდან კი არც „ჰო“ ისმის და არც „არა“! ამასობაში სააკაშვილის პოლიტიკურმა მონებმა, კერძოდ კი, ეგრეთ წოდებულმა გენერალურმა თვითმარქვიულად მთავარ არხად მონათლა ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის აშკარად ძირგამომთხრელი აგიტაცია-პროპაგანდის შხამის მფრქვეველი „ცრუსთავი-2“, რომელიც 24 საათი სიმართლის სახელით ტყუილებით გაჭყეპას არ გვაკლებს.

სათქმელი ძალიან ბევრია, მაგრამ აქ დავამთავრებ, რათა მეც ბოროტების მეაქცენტეებს არ დავემგვანო. თანაც კიდევ ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენს მრავალგანსაცდელგამოვლილ საზოგადოებას არც გუშინდელი ცხრაწლიანი ფაშისტურ-ჟანდარმული რეჟიმი ავიწყდება და არც ხვალინდელ დღეს შეჰყურებს უიმედოდ.

თქვენნაირ არამზადა ქოსატყუილებს და ხალხისგან ერთხელ უკვე მწარედ გემოგასინჯულთ ისევ ზედმეტად მომთმენი და ევროპისგან გაუგებრად შიშნაჭამი „ოცნება“ გვირჩევნია...

გურამ წიკლაური

P. S. ნამდვილად, ნამდვილად „დასანანია“, რომ საზოგადოების თვალში თვითონ უსაშველოდ სახელგატეხილმა მეაქცენტეებმა ამ სამარცხვინო პროცესში „ჩაითრიეს“ (თუ თვითონ ჩაეთრევინნენ!) ერთ დროს „ოცნების“ თავდადებული „მიჯნურები“ გუბაზ სანიკიძე, ნოდარ ხარშილაძე და არმაზ ახვლედიანი, რომელთაც აშკარა გახადეს, რომ, ზოგიერთს ჭკუა თურმე არც ხანში აქვს და არც თავში (თავების სიდიდის მიუხედავად!).

გ. წ.

საკონსტიტუციო სასამართლო და მარიხუანა...

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე ასეთ განცხადებას ავრცელებს:

„2018 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების ზურაბ ჯაფარიძის და ვახტანგ მეგრელიშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №1282) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე მხარე დავობდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც აწესებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანის მოხმარებისათვის.

მოსარჩელეთა განმარტებით, მარიხუანის მოხმარება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელ ქმედებას. კერძოდ, მას შეუძლია, ზიანი მიაყენოს მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობას, რომელიც თავადვე იქნება პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე. ისეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებას, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის დაზიანებისკენ არის მიმართული და არ იწვევს საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს, არ გააჩნია ღირებული საჯარო ინტერესი.

მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს როგორც ცალკე ინდივიდების, ასევე მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მოპასუხის პოზიციით მარიხუანის მოხმარება არის ზიანის მომტანი ადამიანის ჯანმრთელობისთვის და აუცილებელია მოსახლეობის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა დაცვა მარიხუანისგან მომდინარე ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგებისგან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ ქმედებას. მარიხუანის მოხმარების აკრძალვა მისი ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა, და შესაბამისად ემსახურება მომხმარებლების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით ინდივიდუალური მომხმარებლის როლი მარიხუანის ბრუნვის ხელშეწყობაში არის ძალიან მცირე, შესაბამისად მცირეა მოხმარების ინდივიდუალური ფაქტიდან მომდინარე საფრთხეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის ბლანკეტურად დაწესება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის დაცვის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციის შესაბამისია იმ შემთხვევებში, როდესაც მოხმარების კონკრეტული ფაქტი ქმნის საფრთხეებს მესამე პირებისთვის. მაგალითისთვის, სასამართლომ მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება გამართლებულად მიიჩნია მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.“

ნარკოპოლიტიკაზე ცვლილებები სექტემბერში იგეგმება

ნარკოპოლიტიკის მიმართულებით ცვლილებები პარლამენტმა შესაძლოა სექტემბრის დასაწყისში მიიღოს. საბოლოო პოზიციაზე საპარლამენტო უმრავლესობა მომავალ კვირას იურიდიულ საქმეთა კომიტეტზე ჩამოყალიბდება.

თუმცა სამოქალაქო სექტორი მმართველ გუნდს დროის ხელოვნურად გაჭიანურებაში ადანაშაულებს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ნარკოპოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით პოლიტიკური ნება არ არსებობს.

„ცვლილებები არ უნდა იყოს მხოლოდ კოსმეტიკური და მხოლოდ იმ სახის, რომ გამოჩნდეს, რომ რაღაცა გააკეთა ხელისუფლებამ და არა სიღრმისეული რეფორმა გაატარა, რომელიც სინამდვილეში გრძელვადიანად უკეთესად იმოქმედებს, მათ შორის ნარკომომხმარებლების და ზოგადად ნარკოდანაშაულის სიტუაციაზე ქვეყანაში,“ – აცხადებს მიხეილ ბენიძე.

გამორჩეული პოლიტიკოსი,

რომელსაც არც „თავში ავარდნია“, არც „მიწაზე ფორთხვა“ და თავსაფრის „ღეჭვა“ დაუწყია...

ათი დღის წინ დაგადეგის დღე ჰქონდა. ასე საჯაროდ წელს არ მიმილოცნია. ამას დაგვიანებით ვაკეთებ. საგანგებოდ ვიმეორებ შარშანდელ პუგლიკაციას, ხაზგასმით ვამბობ: ჩემი მეგობრებისთვის(!) და არა იმათთვის, ვისაც გოღმისგან, შესაძლოა, გული გაუსკდეს. მაგას არ ვიდარდებ, მაგრამ ჩემს ახლობლებს, ფეისბუქმეგობრებს ვთხოვ, მაინც გადაავლეთ თვალი ამ წერილს, მით უმეტეს, გოლო დღეგის საარჩევნო აჟიოტაჟის ფონზე და შეადარეთ მავანს და მავანს, საქმით, აზროვნებით... გოლოს და გოლოს, ეს პუგლიკაცია თუნდაც იმითაც არის საინტერესო, თუ როგორ და რა კუთხით ხედავს ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩეულ ოპოზიციონერ-პოლიტიკოსს და გატონი ჯანსუღ ჩარკვიანის ნათლულ(!) ქალგატონს, „გრუ-ს, ფსგ-ს, მოსადის და ეთიოპიის დაზვერვის „რეზიდენტი“, თანაც, რუსეთუმე „გეგერი გენერალი“...

ზოგიერთი ავყია, შურით აღსავსე მოშტერო ოპონენტისგან განსხვავებით, ამ დიდებულმა ქალგატონმა გამართული ქართულით საუგარიც იცის, წერა-კითხვაც, მეგობრობის და ნათელ-მირონის ფასიც, რამეთუ ვიღაც-ვიღაცებისგან განსხვავებით, ისეთ ოჯახშია გაზრდილი, სადაც რასაც, რაზეც და ვისზეც (მოვლენასა და პიროვნებაზე) საუბრობენ შინ(!!!), ზუსტად ის დამოკიდებულება აქვთ გარეთაც(!!!), ანუ, ზნეობრივი ოჯახი ასეთ კერას ჰქვია.

აჰა, ესეც ზემოხსენებული პუგლიკაცია:

16 ივლისი ნინო ბურჯანაძის დაბადების დღეა.

გულწრფელად ვულოცავ დიდებულ ქალბატონს, დღეგრძელობას და წარმატებებს ვუსურვებ მას.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სცენაზე ერთ-ერთი თვალსაჩინო „მოთამაშეა“ ქალბატონი ნინო, გამორჩეული განათლებით, გამოცდილებით, გონიერებით, წონასწორობით, ტაქტით, დახვეწილობით...

ყოველივე ეს ციდან არ „ჩამოფრენილა“, მრავალწლიანმა პოლიტიკურმა საქმიანობამ მოიტანა. ეს პერიოდი აღსავსე იყო წინსვლა-გამარჯვებებით, ზენიტში ყოფნით და უკუსვლა-დამარცხებებით, უმწვავესი, მტკივნეული „ღრენა-კბენა-ბწკენებით“, ზოგჯერ, სამწუხაროდ, მართლაც, დამსახურებული (რამეთუ პოლიტიკაში შეუცდომელი, „ფრთიანი ანგელოზი“ ვერ და არ იქნები), შემდგომ ჭკუისსასწავლებელი ფაქტებისა გამო, უფრო მეტად კი ტენდენციური, გამიზნული, დაუნდობელი დარტყმებით.

ასე იცის პოლიტიკამ, მით უმეტეს, თუ მასში ყოფნა შენი არჩევანია: ვალდებული ხარ და უნდა კიდეც აიტანო, მოითმინო და არ გაბოროტდე, შურისძიების გრძნობა არ დაგეუფლოს, შენში არ გაბატონდეს სამაგიეროს გადახდის დაუოკებელი სურვილი. ჩვენი ისტორია, განსაკუთრებით უახლესი, მდიდარია ამ მოსაზრების საპირისპირო ფაქტებით, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში. ამ მხრივ, ბურჯანაძემ შესანატრი ლოიალობა გამოიჩინა და გადაეფარა არაერთს, რომელთა გათელვადასამარების სურვილი „ვარდების რევოლუციონერების“ ზოგიერთ შიზოიდს დღესაც არ განელებია.

ნინოს სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ „პოლიტბარიკადების“ ორივე მხარეს ყოფნის სიმძიმეს გაუძლო — ზოგიერთებივით არც „თავში ავარდნია“ და არც „მიწაზე ფორთხვა“ და თავსაფრის „ღეჭვა“ დაუწყია. დარჩა იმ ნინოდ, რაც იყო: ძლიერად, ნებისყოფიანად, ემოციების დამთრგუნველად, პრინციპულად და შეუპოვრად.

ამ თვისებებმა, პლუს — შრომისმოყვარეობამ, მოუტანეს, ჩემი აზრით — მართებულად, „რკინის ქართველი ლედის“ სახელი და მავანთა ვერავითარი ქილიკი მას ვერ შებღალავს. ღიმილისმომგვრელი კი ის ნაღდი ფაქტია, რომ ამ „მავანთა“ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან „პრინციპულობით და უღალატობით“ საქვეყნოდ ცნობილი მისი ყოფილი „პოლიტპარტნიორები“ ან მათი ისტერიულად და უტიფრად მკივან-მჩხავანა „ცოლები“, „საყვარლები“ თუ სხვა მოშურნე მდედრები. ესეც კლასიკაა!

...და თუ საგნებს თავის სახელს დავარქმევთ, უფრო უპრიანი იქნებოდა, ნინო ბურჯანაძისთვის გვეწოდებინა გამორჩეული ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც გამოცდილება, გონიერება და ვაჟკაცობა უკარნახებს საქართველოს დღევანდელობა და მისი მომავალი განიხილოს და შეაფასოს ერთადერთი სწორი მიდგომით.

შესაძლოა, არ მოგწონდეს ბურჯანაძე (ასეთი ცოტა როდია), არ იზიარებდე მის პლატფორმას (არც აქ იგრძნობა ხალვათობა), აპროტესტებდე მის ტაქტიკას (უწინარესად, სავარაუდოდ, ურაპატრიოტული მოსაზრებებით) კრიტიკულად აღიქვამდე, მისი პოლიტიკური წარსულის ზოგიერთი ფურცელი თუ ნაბიჯი არ იწვევდეს აღტაცებას (ასეთებიც არ არიან ერთეულები), ზოგჯერ მამის რაიკომის მდივნობასაც უწუნებდე (თუმც, ამ „უპატიებელ“ ნაკლს გრ. ვაშაძის ბიოგრაფიაში ვერ ხედავდე), მისი არცთუ ხშირი (!!!) სატელევიზიო გამოსვლების ტონალობა და შეფასებებიც გაღიზიანებდეს (არც თუ უსაფუძვლოდ, მაგრამ რა ვუყოთ აუარებელ დაინტერესებულ და ყურადღებით მსმენელ აუდიტორიას?), მაგრამ ობიექტურობა არასოდეს არ უნდა დაკარგო: იყო აქტიურ პოლიტიკაში თითქმის 30 წელი, იყო არაერთგზის დეპუტატი, იმ პარტიის დამფუძნებელი და მისი უცვლელი ლიდერი, რომლისგანაც არავინ „გარბის“ კრიზისის თუ „წარუმატებლობის“ შემთხვევაში, არაერთგზის ასრულებდე მარტო შენი ქვეყნის კი არა, ევროკავშირის უმაღლეს თანამდებობრივ ფუნქციებსაც, ანგარიშს გიწევდნენ, გენდობოდნენ დასავლეთშიც და აღმოსავლეთში, მით უმეტეს-ჩრდილოეთში, ეს ჰაიჰარად დიახაც არ ხდება. და ეს, მარტივად რომ ვთქვათ, იმიტომ, რომ მის სიტყვას ფასი(!) აქვს, ის მიცემული სიტყვის ერთგულია, „ღრუბელ-ღრუბელ არ დაფრინავს და არ ემალება“ მოწინააღმდეგეს, ყოველთვის მზად არის და ირჩევს პირისპირ დიალოგს, აქვს არგუმენტები, ლოგიკა და ზურგს უმაგრებს რწმენა და ძალა, რომელიც გამოიხატება ორი სიტყვით: საქართველოს ინტერესები! დიახ, კარგად გათვლილი და რეალობიდან გამომდინარე ინტერესები და არა... გულუბრყვილო ემოციები, გულზე „ხელის ბრაგუნი“ და უსაფუძვლო ილუზიები, იმის თაობაზე, რომ შენი ქვეყნის გულისთვის ვინმე მსოფლიო „ომს“ გააჩაღებს!

და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ღია თუ ფარული მინიშნებები მის გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე, წინათაც და ახლაც, არის უაპელაციო ლაყბობა გაუთვითცნობიერებელ ადამიანთა მხრიდან, ოსტატურად გამოწვეული და წარმართული პოლიტმოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, რომელსაც აქვს შეუზღუდავი საშუალება და დიდი პრაქტიკა ე.წ. „შავი პიარის“ მეშვეობით თეთრის ნებისმიერ ფერად „გასაღებისა“ (ან პირიქით). განსხვავებით ნაღდი(!) რუსეთუმეებისაგან, რომლებმაც ღიად თუ ფარულად მთელი ჩვენი „სტრატეგიული ეკონომიკა“ პუტინ-ჩუბაის-სეჩინის სტრუქტურებს „გადააბარეს“ (რა თქმა უნდა, „უანგაროდ“), და კონკრეტული ფაქტებიდან, პრაქტიკიდან გამომდინარე, ძნელია, ვინმემ დამარწმუნოს იმაში, რომ რუსეთუმეა ქალბატონი ნინო, ან მისი ოჯახი და თანამოაზრეთა საახლობლო. ცილისმწამებლებისთვის და ნებსით თუ უნებლიეთ დეზორიენტირებული მოხალისე-კრიტიკოსებისთვის მწარედ გასაგონი სიმართლე მას მიუხლია პირში არაერთგზის, ხმამაღლა, ხაზგასმულად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე: ვერ, ვერ ელირსებით!!!!

...და თუ საგნებს თავის სახელს დავარქმევთ, უფრო უპრიანი იქნებოდა, ნინო ბურჯანაძისთვის გვეწოდებინა გამორჩეული ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც გამოცდილება, გონიერება და ვაჟკაცობა უკარნახებს საქართველოს დღევანდელობა და მისი მომავალი განიხილოს და შეაფასოს ერთადერთი სწორი მიდგომით — პრაგმატულად (!!!!), მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მსოფლიოსა და უშუალოდ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური სივრცის რეალობების გათვალისწინებით.

ვიმეორებ: ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტისას საჭირო ასეთ მიდგომას სჭირდება არა მარტო ფართო პოლიტიკური ხედვა(!) და სახელმწიფოებრივი აზროვნება(!), არამედ სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, დიდი, პირადი სიმამაცე, თანმიმდევრულობა და პრინციპულობა. რამდენად მისაღებ-ასატანია ეს გზა საქართველოს პოლიტელიტისთვის, დაადასტურა გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებმაც მემკვიდრეობად დაუტოვეს შემდგომ თაობებს გაპარტახებული ქვეყანა — დანგრეული ეკონომიკით, ბოლო ჭანჭიკამდე თურქეთში ჯართად გაზიდული ფაბრიკა-ქარხნებით, ლომაია-შაშკინის „რეფორმებით“ მორღვეული მეცნიერება-განათლების სისტემით, დანაწევრებულ-დაკარგული ტერიტორიებით, გამწვავებული კუთხურობით და იარაღით დაპირისპირებული, სხვადასხვა შეურაცხმყოფელი იარლიყებმიკერებული თაობებით და ფენებით, დაცემული ზნეობით, უყურადღებოდ მიტოვებული მშობლიური ენითა და დაბეჩავებული კულტურით.

ამ ფონზე ეგებ არ ღირდეს ერთი ნიშანდობლივი ფაქტის გახსენება, მაგრამ, მაინც, ზოგიერთი, „სმენა-მხედველობა-დაქვეითებული“ მოქილიკის გასაგონად: თუ ვინმეს ჰგონია რომ 35-40-გრადუსიან მოსკოვურ ყინვაში ჩასაცმელი დათბუნებული „ჩექმის“ საყიდელი თანხა ბურჯანაძეებს გაუჭირდებოდათ, ნამეტნავად ბრიყვი ყოფილა. მაგრამ როცა რუსეთის თავფეხიანად თბილად შეფუთული ელიტის გვერდით უაღრესად დახვეწილი და უზადოდ (არასაზამთროდ) ჩაცმული ქართველი ქალბატონი ამაყად, თავაწეულად და ღირსეულად წარმოადგენდა არა მარტო თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ოპოზიციას, არამედ ჩემი სამშობლოს იმ მანდილოსან პოლიტიკოსებს, ვინც პოლიტბატალიების მიუხედავად ყოველთვის უნდა რჩებოდნენ, უბრალოდ და ჩვეულებრივ... ქალებად(!!!)

მე მიხაროდა და მეამაყებოდა ეს „სურათი“, რამეთუ მასზე გამოხატული გახლდათ არა ვინმე ზოგადი „გუგული“, „ჩიორა“ ან „ენძელა“, არამედ საქართველოში ორჯერ ნასპიკერალი



და, პრაქტიკულად, ნაპრეზიდენტალი სახელმწიფო მოღვაწე, ნაღდი მეცნიერი, ჩინებული მეოჯახე და ორი შვილის დედა, მუდამ დახვეწილი ქართველი მანდილოსანი ნინო ბურჯანაძე!

ნუგზარ ფოფხაძე

დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ეძებს ახალ გუნდს...

მმართველობის შვიდი წლის თავზე მიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ ღიად გააკრიტიკა. გუნდს, რომელსაც პოლიტიკური მძროლის ჟინი არა აქვს, ივანიშვილი დაცვის ტაქტიკას უწუნებს და აცხადებს, რომ პოლიტიკურ გუნდს მისი დაცვა არ შეუძლია და ამავე კონტექსტში ამბობს, რომ ოპოზიცია მეტად აფასებს, ვიდრე საკუთარი გუნდი. ივანიშვილმა ყურადღება გაამახვილა „ქართული ოცნების“ ალტერნატივის გაჩენაზე.

შექმნის თუ არა პოლიტიკურად გამოუცდელი გუნდის ალტერნატივას? – ამ საკითხებთან დაკავშირებით დღეს რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

ივანიშვილის საჯარო გამოსვლებიდან ეს ინტერვიუ ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საუკეთესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან დაანახვა საზოგადოებას, თვითონ სად ხედავს პრობლემებს, ანუ საზოგადოებას გაუზიარა თავისი პრობლემები და ამ გაზიარებაში გამოჩნდა, რომ უამრავი პრობლემა არის. წინა ინტერვიუებში და გამოსვლებში ივანიშვილი ცდილობდა აქცენტის გაკეთებას „ქართული ოცნების“ გაძლიერებაზე, ხოლო ამ შემთხვევაში, აქცენტები გადატანილი იყო იმაზე, რომ მისი პარტია ქართულ პოლიტიკურ ველზე არ უნდა იყოს ერთადერთი.

– ბევრი შეფასება მოვისმინეთ, ზოგი თვლის, რომ ეს იყო ივანიშვილის აღიარება, ზოგი პირიქით და თვლის, რომ მან საზოგადოებას გაუზიარა ის პრობლემები, რომელიც რეალურად არსებობს ქვეყანაში. ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, ეს იყო გუნდზე და ხელისუფლებაზე გაბრაზებული ადამიანის საუბარი?

– არ ვფიქრობ, რომ საწყალი და დაჩაგრული ადამიანის ინტერვიუ იყო, დაიჩივლა – გუნდი ვერ ახერხებს ჩემს დაცვასო, ძირითადად ეს თემა იყო, მაგრამ გუნდი ვერ ახერხებს დაცვას, ესეც ცოტა უხეში გამონათქვამი გამოვიდა, რადგან ვერ ახერხებს არა იმიტომ, რომ ლაპარაკი არ იციან, არამედ პოლიტიკაში არ არიან გამოცდილი.

– პოლიტიკური გამოუცდელობით ხდება ის, რომ უჭირთ პარტიის ლიდერის დაცვა?

– ყოველი შემთხვევისთვის, პოლიტიკური გამოუცდელობა ნამდვილად არის. საიდან უნდა ჰქონოდათ პოლიტიკური გამოცდილება? პრაქტიკულად შიშველი ხელებით მოვიდა გუნდი. ამ მხრივ იყო პრობლემა გუნდის შედგენა და მოსალოდნელიც იყო, რომ პოლიტიკური გამოცდილება მათ არ ექნებოდათ. პოლიტიკური გამოცდილება ეტყობათ ნაციონალებს, იბრძვიან შეუპოვრად, ხოლო ასეთი ბრძოლის უნარი და გამოცდილება მმართველ გუნდს არა აქვს.

– ამ ინტერვიუთი ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას ანახა, რომ ქვეყანაში არსებულ პრობლემებს აღიარებს, მაგრამ ამ პრობლემების წინაშე აღმოჩნდა მისი გუნდის დამსახურებით და ეს პრეტენზიები იყო გუნდის მიმართ ნათქვამი?

– უდავოდ არის გუნდის მიმართ პრეტენზიები, მაგრამ ეს პრეტენზიები გუნდის მიმართ შეიძლება გქონდეს, თუკი იცი, რომ გუნდი გამოცდილია, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო არის ჩუმად. არ იციან ბრძოლა და რა უნდა ქნან? მოლოდინი იმისა, რომ ეს გუნდი იბძოლებს, ჩემი აზრით, ეს არასწორია. გუნდი ვერ იბრძოლებს, თუ ამის გამოცდილება არ ექნება.

– ხშირად ვისმენთ შეფასებას, რომ ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში ეს არის ყველაზე სუსტი პარლამენტი. როგორ ფიქრობთ, გუნდი, როგორსაც ითხოვს ივანიშვილი ამ გუნდისგან შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ ამისთვის აუცილებელია რიგგარეშე არჩევნები?

– შეიძლება რიგგარეშე არჩევნების ფარგლებში გუნდი შეიცვალოს, მაგრამ საგრძნობი იყო ის ფაქტი, რომ ივანიშვილს უნდა ცვლილებები. გუნდს ვადაში შეცვლის, თუ რიგგარეშე არ ვიცი, მაგრამ ცვლილებების სურვილი მის ამ ინტერვიუში ნამდვილად ჩანდა. მან შეიძლება ზოგადი მიდგომაც შეცვალოს, ვგულისხმობ – უნდა იყოს ერთი პარტია, თუ პარტიის ძალაუფლება გადანაწილდეს სხვადასხვა შტოებში. იძახის, რომ მომხრე ვიქნები, გადანაწილდესო, მაგრამ არ უთქვამს, რომ გადანაწილდება. ის, რომ თვითონ ასეთი დომინირებული პარტიის სურვილი აღარ აქვს, ეს იყო სიახლე მის ინტერვიუში, რაც, თუ შეიძლება ითქვას, პარტიული მშენებლობის არქიტექტურის სხვანაირ ხედვას წარმოადგენდა.

– როგორ წარმოგიდგენიათ პარტიული განვითარების ივანიშვილისეული ხედვა და როგორი სახის პარტიულ ხედვას შესთავაზებდით?

– როგორც თვითონ ივანიშვილმაც აღნიშნა, პარტიული სპექტრი თითქმის არ არსებობს და, ასეთ პირობებში, სწორად არ მიმაჩნია მთელი სისრულით საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა. ცოტა მეტ ელემენტს ავიღებდი მაგალითად საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან და კერძოდ, ამერიკული მართვის სისტემიდან, იმ თავალსაზრისით, რომ იქ ერთი კონკრეტული პარტიის როლი შესუსტებულია მაჟორიტარული არჩევნებით. პარტია კი არ წყვეტს, ვინ იქნება სიაში, ადამიანი მიდის თავის ამომრჩეველთან რეგიონში და თუკი დაიმსახურებს ამომრჩევლების ნდობას, მერე მიდის უმაღლეს ორგანოში.

ასეთი მოწყობა პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს უკვე პარტიას და მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ცალკეულ პოლიტიკოსს. დიდი ხანია, ამ პოზიციას ვიკავებ და ამიტომ მიმაჩნია, რომ სანამ ჩვენი პარტიული სპექტრის მკაფიო სურათი არ ჩამოყალიბებულა, ჯერჯერობით შემოვიტანდი მეტ ელემენტს – დამოუკიდებელი დეპუტატების პასუხისმგებლობას საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფების წინაშე.

– არსებული ინფორმაციით, გუნდის გადახალისების კუთხით საინტერესო იქნება სექტემბერი, როდესაც ივანიშვილი დაიწყებს პარტიის განახლებას. ერთია, როცა ვსაუბრობთ, რომ არსებული პარტიული ჯგუფი არ არის მომგებიანი, მხოლოდ წაგებაზე ორიენტირებული გუნდია. ოპოზიციასთან დებატებში ძალიან სუსტია მმართველი გუნდი და იშველიებენ 9 წელს, რაც საზოგადოებისთვის საინტერესოც აღარ არის. სხვა წონიანი არგუმენტების მოძიებაზე ეს გუნდი არ ფიქრობს. მაგრამ პრობლემაა ისიც, რომ, როდესაც გუნდის ცვლილებაზე არის საუბარი, გვაქვს კი იმის პოლიტიკური რესურსი, რომ შეიქმნას ძლიერი გუნდი?

– ამისკენ გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც ეს ახალგაზრდები მოიყვანეს პარლამენტში. ისინი მოიყვანეს მაჟორიტარული წესით, სიაში არ ჩასვეს. ანუ, მათ მისცეს საბრძოლო პირობები, რაც სწორი მიდგომა იყო, მაგრამ ბევრი მათგანი არჩევნების შემდეგ გადავიდა წყნარ პარტიულ ცხოვრებაზე და ამდენად ბრძოლის ჟინი, რომელიც გამოავლინეს 2016 წლის არჩევნებში, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. პოლიტიკური ბრძოლა არის ერთადერთი გზა იმისა, რომ სამომავლოდ გყავდეს ძლიერი გუნდი.

– ივანიშვილმა ხაზი გაუსვა კონკურენტული ოპოზიციის არსებობას, რისი აუცილებლობა ნამდვილად არის. თუმცა, დაგვიანებული არ არის დღეს საუბარი ისეთი ოპოზიციის არსებობაზე, რომელიც იქნება კონკურენტული?

– მეორე მხრივ ივანიშვილმა და, გნებავთ სხვამ, რა უნდა ქნას? იგივე სიტუაცია იყო სააკაშვილის დროსაც და საყვედური იყო ერთპარტიულობაზე. მაშინ მიშამ თქვა, რა ვქნა, მე ხომ ვერ გავაკეთებ ჩემს ოპოზიციასო, მაგრამ მერე კი გააკეთა თავისი ოპოზიცია. ასეთი ენერგიული, კონსტრუქციული, პროდუქტიული ოპოზიცია უნდა წარმოიშვას, სურვილი უკვე გამოითქვა, მაგრამ მოთხოვნის დონეზე და რატომ არ გააკეთა ხელისუფლებამ, ამას ხელისუფლებას ვერ უსაყვედურებ. ხელისუფლებაში მყოფი პარტია თავის საქმეს აკეთებს. ჩვენ, უფრო ზოგადი პრობლემა გვაქვს- პოლიტიკური პროცესების მქონე გამოცდილი ჯგუფები არ არის.

– უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ პარტიის შიგნით ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა და ამან მიგვიყვანა შეცდომებამდეო, მაგრამ ამ შეცდომების არსებობაზე ივანიშვილის ინტერვიუს შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გუნდის სისუსტეს. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ივანიშვილის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში?

– ივანიშვილის საჯარო გამოსვლებიდან ეს ინტერვიუ ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საუკეთესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან დაანახვა საზოგადოებას თვითონ სად ხედავს პრობლემებს, ანუ საზოგადოებას გაუზიარა თავისი პრობლემები და ამ გაზიარებაში გამოჩნდა, რომ უამრავი პრობლემა არის. წინა ინტერვიუებში და გამოსვლებში ივანიშვილი ცდილობდა აქცენტის გაკეთებას „ქართული ოცნების“ გაძლიერებაზე, ხოლო ამ შემთხვევაში, აქცენტები გადატანილი იყო იმაზე, რომ მისი პარტია ქართულ პოლიტიკურ ველზე არ უნდა იყოს ერთადერთი.

– ივანიშვილმა აქცენტები გაამახვილა „ქართული ოცნების“ ალტერნატივების გაჩენაზე. თქვა, რომ დასავლეთისთვის მიუღებელია საქართველოში ერთპარტიული მმართველობა. როგორც ჩანს, ერთპარტიული მმართველობა ივანიშვილისთვისაც მიუღებელია. დასავლეთის მოსაზრებას ხშირად მაშინ მოიხმობენ ხოლმე, როცა საკუთარი პოზიციის გამყარება სურთ.

– დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ეძებს ახალ გუნდს. იპოვის თუ არა ახალ გუნდს და შეცვლის თუ არა არსებულს, ყოველ შემთხვევაში სხვა მიმართულებით ეცდება სვლას. მის ინტერვიუში ჩანდა, რომ ბევრ რამეზე არის პასუხისმგებელი. ჩემთვის ესეც ძალიან დამაკმაყოფილებელია, რომ ივანიშვილი მოსვენებულად არ არის და ცდილობს, იპოვოს გამოსავალი. ადრე მის ინტერვიუებში იყო ინტონაცია, რომ ყველაფერი კარგად არის და უკეთესად იქნება, თუ „ოცნებას“ აირჩევენ. ახლა უკვე, ივანიშვილს თვითონ აქვს კითხვის ნიშნები და ცდილობს ამ კითხვის ნიშნებზე პასუხს. პასუხის ძებნა უკვე თავისთავად უაღრესად პოლიტიკური მოვლენაა.

– ივანიშვილი ახალ გუნდს ეძებს, მაგრამ როგორც ფიქრობთ, შეკრებს მისთვის სასურველ გუნდს და რამდენად გრძელვადიანი იქნება ძიების პროცესი?

– არის ქვეყნები, რომლებიც ათწლეულები ეძებდნენ თავიანთ პოლიტიკურ სახეს. ივანიშვილმა თვითონ თქვა, რომ ფაქტიურად საზოგადოების როლი ავიღე ჩემს თავზე, რადგან ამ პოლიტიკური პროცესების სტიმულატორი, წესით, საზოგადოება უნდა იყოს – ჩათვალეთ, რომ ეს არის პოზიტივი, რომლის ფონზე იპოვის თუ არა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ძებნა დაიწყო.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შარშანდელთან შედარებით მაღალია

ფინანსთა სამინისტრო ივნისში 4%-იან ეკონომიკურ ზრდას მშენებლობის სექტორში ტემპის შენელებით ხსნის. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა აცხადებს, რომ მშენებლობების ტემპის შემცირება იმ რეგულაციებს უკავშირდება, რომელიც აღნიშნულ სექტორს დაუწესდა.

„2018 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი არის მნიშვნელოვნად მაღალი, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც 5,5% იყო. ასევე ის მაღალია ჩვენს მიერ წლის დასაწყისში პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით, რაც ხაზს უსვამს იმ პოზიტიურ დინამიკას, რომელიც ეკონომიკაში გვაქვს. ამ პოზიტიური დინამიკის ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორია ექსპორტის სექტორი. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ექსპორტის ზრდის მოლოდინი გაგრძელდება. ეკონომიკურ ზრდაში მეორე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი არის ტურიზმის სექტორი, რომელიც ძალიან კარგი და დადებითი ტემპით ვითარდება. მშპ-ს ზრდაში გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა იქონია მშენებლობის სექტორში შენელებამ, რაც პრინციპში შეესაბამება ჩვენს მოლოდინს, რომელიც გამომდინარეობს იმ ახალი რეგულაციების დაწესებიდან, რომელიც წლის დასაწყისიდან მოხდა და რომელიც უკავშირდება ჩვენს ახალ პოლიტიკას, რომლის მიზანია ახალი ეკოლოგიური სტანდარტების დაწესება აღნიშნულ სექტორში. ჩვენი მოლოდინია, რომ ეს დინამიკა მოკლევადიან პერიოდში აუცილებლად გაუმჯობესდება და გვაქვს მოლოდინი, რომ მშენებლობის სექტორში მაღალი აქტივობები დაიწყება რამდენიმე თვეში, მაღალი ზრდა უფრო მაღალი ეკონომიკური და ეკოლოგიური სტანდარტებით“, – განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ.

ალიანსი წითელ ნაჭერს ისევ უშიშრად უფრიალებს რუსეთს!

გვესაუბრება რონდელის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი პახა გოგოლაშვილი.

რა მივიღეთ ნატოსგან და რა გეგმა აქვს ისტერიკაში ჩავარდნილ პუტინს

— ბატონო პახა, ცოტა ხნის წინ ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი დასრულდა. თქვენი აზრით, რა წამოიღო ამჯერად ნატოს სამიტიდან საქართველომ?

— რასაც ველოდით, ალბათ, ის მივიღეთ: ეს იყო განახლებული დაპირება იმისა, რომ ჩვენ ალიანსში გავწევრიანდებით. ამასთან, ითქვა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, მოემზადოს ნატოს წევრობისთვის. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს MAP-ი არ სჭირდება, თუმცა ის რჩება ფორმალურ მექანიზმად. ანუ, საქართველო MAP-ის გარეშეც შეძლებს, მოემზადოს წევრობისთვის და MAP-ის საფეხური იმ წუთშივე იქნება გადალახული, როგორც კი გაწევრიანების საკითხი მომწიფდება.

ასევე მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, რომ აქცენტი გაკეთდა საქართველოს თავდაცვისუნარიონობის გაძლიერებაზე. ალბათ, მეტი შესაძლებლობა მოგვეცემა იმისთვის, რომ შევიძინოთ დასავლური იარაღი: ზოგი გადმოგვეცეს, ზოგი მოგვყიდონ იაფად, ზოგი კი გრანტების საშუალებით შევიძინოთ.

გარდა ამისა, უკვე არსებული პროგრამები გაფართოვდება და თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით ალიანსთან თანამშრომლობა გაძლიერდება.

ბრიუსელის სამიტის დეკლარაციაში საქართველო ძალიან ბევრჯერ, კერძოდ 18-ჯერ არის ნახსენები. ყველანაირი მხარდაჭერა, რაც კი შეიძლებოდა, ყოფილიყო გამოხატული, ამ დოკუმენტში ასახულია. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს როლი შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხში. დაფასდა საქართველოს მონაწილეობა ნატოსა და ევროკავშირის მისიებში...

ამგვარად, მთლიანობაში, სამიტის დეკლარაციამ შექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველო ნატოს სივრცის განუყოფელი ნაწილია; რომ მართალია, სადღეისოდ საქართველო არ არის ალიანსის წევრი, მაგრამ ნატო საქართველოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად განიხილავს.

— თუ წინა წლების სამიტებს შედეგობრივი თვალსაზრისით შევადარებთ, იყო თუ არა აქ ხელშესახები წინსვლა საქართველოსთვის? ანუ წავიწიეთ წინ, თუ იმავე წერტილში დავრჩით?

— ბუქარესტის შემდეგ ალბათ, ვარშავის სამიტი იყო საკმაოდ შედეგიანი, იმიტომ, რომ კონკრეტული პროგრამები გაჩნდა. მართალია, ბრიუსელის სამიტის დეკლარაციაში კონკრეტულ ახალ პროგრამაზე საუბარი არ არის, თუმცა სამაგიეროდ ძალიან ბევრჯერ მახვილდება ყურადღება იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ. ამდენად, ვერ ვიტყვი, რომ წინა სამიტებთან შედარებით, შედეგობრივი თავალსაზრისით კლება გვაქვს. ეს კლება არ არის. იქ, სადაც უკვე აივსო, 2-ჯერ ვეღარ აავსებ, ხომ? ხომ მოგვცეს უკვე „არსებითი პაკეტი“ და კიდევ ხომ არ მოგვცემდნენ?

— „არსებით პაკეტთან“ დაკავშირებით გეთანხმებით, მაგრამ შესაძლებელი იყო, რაიმე სხვა, ახალი ინიციატივები შემოეთავაზებინათ?

— ახალი არის ის, რომ პრინციპში, დაგვეხმარებიან თავდაცვისუნარიანობის კიდევ მეტად გაზრდაში. და მეორე: შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში ჩართულები ვიქნებით სრულად. ამას კი მოჰყვება ჩვენი საზღვაო ძალების განვითარება, შესაძლოა, პატრულირების საშუალებების განვითარებაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, ისეთი გადაწყვეტილებები იყო მიღებული, რომლის საფუძველზეც საქართველომ შესაძლოა, ნატოს ქვეყნებიდან მიიღოს უფრო მეტი დახმარება, ვიდრე აქამდე. შესაბამისად, მე ვიტყოდი, რომ ეს სამიტიც საქართველოსთვის ნამდვილად შედეგიანი იყო.

— მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავადაც დამეთანხმეთ, შედეგობრივად კონკრეტიკა ამ სამიტზე საქართველოსთვის თითქოს არ ყოფილა, კრემლი ისტერიკაშია. მისი მუქარანარევი განცხადებები ჯერ კიდევ სამიტამდე დაიწყო, დიახ, ეს ისტერიკა სამიტამდე დაიწყო, სამიტის მიმდინარეობისას გაგრძელდა და დღემდე არ ცხრება. ამასთან, ამჯერად კრემლი გვემუქრება არათუ ალიანსში გაწევრიანების, მასთან შემდგომი დაახლოების შემთხვევისთვისაც კი. მისი ქცევის შემხედვარე, ორი აზრი შეიძლება, გაგიჩნდეს: ან ბრიუსელში საქართველომ მიიღო რაიმე მნიშვნელოვანი დაპირება, რომელიც გარკვეული მიზნით ამ ეტაპზე არ საჯაროვდება (თუმცა ეს ნაკლებ სავარაუდოა, ყოველ შემთხვევაში ზედაპირზე ამის ნიშნები არ ჩანს), ანდა კრემლი ქმნის ფონს რაღაც ნაბიჯისთვის, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებით დაგეგმა და ნატო-საქართველოს ურთიერთობები მისი მხრიდან მორიგი თითიდან გამოწოვილი საბაბია. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— ერთ-ერთი დაპირება, რომელიც სამიტზე მივიღეთ, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაა. გადმოგვცეს „ჯაველინები“, მაგრამ სხვა დანარჩენს რას მოგვცემენ, ეს ხომ არიცის პუტინმა? რა თქმა უნდა, ის ინერვიულებს, იმიტომ, რომ ეს განცხადებები, დეკლარაციაში შეტანილი ჩანაწერები, იგივე შავ ზღვაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა, მაგალითად, ანდა ის ფაქტი, რომ ნატოს გემები შემოვლენ და მათ შეეძლებათ საქართველოს პორტებში გაჩერება, ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. მოსკოვი ცდილობს, შავ ზღვაზე სამხედრო უპირატესობა მოიპოვოს, ხოლო როცა ალიანსის გემები საქართველოში იქნებიან, ნებისმიერი დაძაბულობის შემთხვევაში შავი ზღვის სამხრეთ ნაწილი და აღმოსავლეთ ნაწილის გარკვეული მონაკვეთი ალიანსს მის კონტროლს ქვეშ ექნება. თუ ისეთი წვრთნები, რომლისთვისაც ეხლა ვემზადებით („ღირსეული პარტნიორი 2018“) ხშირად ჩატარდება, ამერიკელი სამხედროები პრაქტიკულად სულ იქნებიან საქართველოში და ყველა ხვდება, როგორია ასეთ პირობებში საქართველოს დაშინება! ამიტომაც მსგავსი წვრთნები თავისთავად გამაღიზიანებელია მოსკოვისთვის და, რა თქმა უნდა, რუსეთი ჩვენს ნებისმიერ წინსვლას ნატოსკენ წინ აღუდგება.

— ამავე კონტექსტში რუსული მხრიდან გაისმა მუქარა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიერთების თაობაზეც — ვგულისხმობ ვიქტორ ბარანეცის განცხადებას. რამდენად რეალურად გეჩვენებათ მოვლენების ამ სცენარით განვითარება?

— ოფიციალურად რომ განეცხადებინათ, ეს სკანდალი იქნებოდა. ყველგან, მთელს მსოფლიოში ამტკიცებენ, რომ რუსეთი მხარს უჭერს ამ რეგიონების დამოუკიდებლობას. მიერთების სირვილი ოფიციალურად რომ განაცხადოს, გამოდის, რომ ეს უკვე ანექსიაა. ამას ოფიციალურად ვერავინ გააჟღერებდა. მაგრამ ვფიქრობ, რუსეთს ეს სცენარი ნამდვილად აქვს გარკვეულწილად თავის გეგმებში, ასე ვთქვათ, პროექტში და ამისთვის რაღაც მიზეზები შეუძლია, გამოძებნოს, მაგრამ ჯერჯერობით ეს უჭირს.

— ნატოსთან ჩვენი დაახლოება შეიძლება, იქცეს ასეთ მიზეზად?

— ეს ძნელად მოსატანი მიზეზია. რა უნდა თქვას: „აფხაზებს დამოუკიდებლობას იმიტომ ვართმევ, რომ საქართველო აპირებს ნატოში შესვლასო?!“. ეს არ არის ძლიერი მიზეზი. მოსკოვი მიზეზებს ეძებს და ასეთი სახის მუქარები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება.

— ამ ფონზე რამდენად რეალურია ჩვენს წინააღმდეგ ახალი ომის წამოწყების შესაძლებლობა?

— ყველაფერი შესაძლებელია. ვხედავთ, რომ რუსეთი კუნთებზე იხედება, არ ერიდება არსად სამხედრო კონფლიქტს. გვახსოვს, იმდენად გათავხედდა, რომ სირიაში ამერიკის ბაზაზეც მიიტანა იერიში... რა თქმა უნდა, შესაძლოა, მან ახალი კონფლიქტის პროვოცირებაც მოახდინოს. და სწორედ ამიტომ გვჭირდება სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერება.

რაც შეეხება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, იქ ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ კარგა ხნის განმავლობაში და არანაირი პრევენცია არ შეგვიძლია. თუმცა აქ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რამდენად აწყობს თავად რუსეთს მოვლენების ამ სცენარით განვითარება.

— ნატოში ჩვენი გაწევრიანების პერსპექტივებს რომ დავუბრუნდეთ, გარდა იმისა, რომ ალიანსის წევრებს შორის აუცილებელი კონსენსუსი სადღეისოდ არ არსებობს, ხელისუფლების ოპონენტები ხშირად პრეტენზიებს გამოთქვამენ თავად თბილისის არასაკმარისი და არასაკმარისად თანმიმდევრული აქტიურობის გამო, რის შედეგადაც, მათი შეფასებით, საქართველო, უკრაინისგან განსხვავებით, საერთაშორისო რადარებიდან პრაქტიკულად გაქრა. ამის მორიგ დასტურად განიხილავენ ისინი ბიძინა ივანიშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებასაც - „უნდა ვიცოდეთ (საქართველომ) ჩვენი ფასი, ჩვენი ადგილი და შესაძლებლობებიო“. სხვათა შორის, ეს მიდგომა ივანიშვილს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე გავრცელებულ მიმართვებშიც ჰქონდა გამოხატული. რამდენად სწორად მიგაჩნიათ „ქართული ოცნების“ ლიდერის ეს ხედვა?

— ის, რომ უკრაინა უფრო ისმის, არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან საქართველოს კონფლიქტი, უკრაინასთან შედარებით, ევროპისთვის ნაკლებად მასშტაბური და ნაკლებად სახიფათოა. დასავლეთი და ევროპა განსაკუთრებით აქტიურად ერევიან მაშინ, როდესაც კონფლიქტი ცხელია, ხოლო როცა ცივდება, იქ, რა თქმა უნდა, ისეთი აქტიური ჩარევა არ იქნება. უკრაინაში კონფლიქტი ცხელია, ყოველდღე ისვრიან და სიტუაცია ფეთქებადსაშიშია. გარდა ამისა, უკრაინის კონფლიქტი აღმოსავლეთ ევროპაში ძალიან მაღალ რისკებს ქმნის, მაშინ, როდესაც საქართველოს კონფლიქტი იმდენად სარისკო ამ ეტაპზე არ ჩანს...

საქმე აქ სხვა რამეშია. ის კურსი, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა, არ აღმოჩნდა შედეგიანი: იყო ძალიან სარისკო და პირდაპირი კონფრონტაცია. შედეგიც ძალიან ცუდი მივიღეთ. რუსეთმა ადვილად მონახა მიზეზი, რომ თავს დაგვსხმოდა. რა თქმა უნდა, საჭირო იყო ამ პოლიტიკის შეცვლა. პოლიტიკა შეიცვალა. მაგრამ რამდენად სწორად მოხდა ამ პოლიტიკის მენეჯმენტი — ეს არის მნიშვნელოვანი.

ფაქტია, რომ რუსეთთან რაღაცაზე უნდა გვესაუბრა, თუმცა რუსეთთან ურთიერთობა ძალიან ძნელია. ვერც სააკაშვილის და ვერც ივანიშვილის ხელისუფლებას დავადანაშაულებ ბოლომდე, იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ისევე იქცევა უკრაიასთან, ბალტიისპირეთთან და ყველასთან მიმართებაში, ამდენად პატარა საქართველო რომ ვერ გაუმკლავდეს რუსეთს და ვერ მოახერხოს მისი მართვა, გასაკვირი არ არის. გასაგებია, რომ კრიტიკა საჭიროა, მაგრამ "მთლიანად რადარებიდან გამქრალიაო“ — ასე არ შეიძლება, ითქვას. ამის ერთ-ერთი მაგალითი სწორედ ბრიუსელის სამიტი იყო, სადაც ყველამ ნახა, როგორი განცხადებები გაკეთდა საქართველოსთან მიმართებაში...

საჭიროა ალბათ, უფრო დეტალური და ხშირი ანალიზი იმისა, კონკრეტულად რა საკითხებში გვაქვს ჩავარდნა და რა საკითხებში მივდივართ სწორად. ეს ანალიზი არ კეთდება არც ექსპერტების მიერ და არც მთავრობის შიგნით.

— რა განაპირობებს ამას?

— თავად საზოგადოება ჩვენთან ასეა მომართული: ეძებს შავს და თეთრს. შავი და თეთრი კი ფერთა მთელი სპექტრი არ არის. უფრო უნდა ჩავუღრმავდეთ და უფრო დეტალურად შევისწავლოთ ყველაფერი. უნდა ვეძებოთ ძალიან კონკრეტული შენიშვნები: არა ის ვიძახოთ, რომ ესა თუ ის კურსი არის არაჩვეულებრივი, ან მთლიანად არასწორი... შეიძლება, კურსი სწორია, მაგრამ არ ხორციელდება სწორად.

ესაუბრა
მარი ჩუბინიძე,
„აქცენტი“

გიორგი გახარიამ მძარცველის დაკავებისას დაჭრილი მოქალაქე საავადმყოფოში მოინახულა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ მოადგილესთან ნათია მეზვრიშვილთან ერთად რამდენიმე დღის წინ თბილისში მძარცველის დაკავებისას დაჭრილი მოქალაქე - ლუკა ლორია საავადმყოფოში მოინახულა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას გაეცნო.

მიმდინარე წლის 28 ივლისს 2001 წელს დაბადებულმა ი.ს.-მ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში მდებარე ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ქუჩაზე, მოქალაქეს საფულე გასტაცა. მძარცველის დაკავებას შემთხვევის ადგილზე მყოფი, 1992 წელს დაბადებული ლუკა ლორია შეეცადა, რა დროსაც იგი ი.ს.-მ ცივი იარაღით დაჭრა. პოლიციამ მძარცველი მიმალვისას განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ძარცვის ბრალდებით დააკავა. დაჭრილი ლუკა ლორია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორ გადის დრო!

„ხავერდოვანი დიქტატორის“ პორტრეტი საიუბილეო ინტერიერში

„რა ნელა გადის დრო?!“ – ამბობს ერთი პერსონაჟი.

„რა ჩქარა გადის?!“ – ჩივის მეორე.

„ასულნი“ – ოთხიოდე წლის წინათ დადგმული ეს სპექტაკლი, არსებითად, შეუფასებელი დარჩა.

არადა, სწორედ მისით დაიწყო ახალი ეტაპი რობერტ სტურუას შემოქმედებაში, კიდევ ერთი სტურუასეული შედევრით რომ დაგვირგვინდა – ბერთოლდ ბრეხტის „დაკანონებული უკანონობით.“

ისევ ბრეხტი!

სტურუას უყვარს საკუთარი თავის ციტირება.

მეც მივბაძავ და კიდევ ერთხელ დავწერ:

ასოცი წლის წინათ, გერმანეთში ბერთოლდ ბრეხტი იმიტომ დაიბადა, რომ ზუსტად ორმოცი წლის შემდეგ, საქართველოში რობერტ სტურუა დაბადებულიყო.

* * *

„ერთადერთი სპექტაკლი, რომელიც არ დაბერდა, „კავკასიურია.“ ეს ჩემთვის აუხსნელია“. – იტყვის ვახტანგ დავითაიასთან დიალოგში.

უიშვიათესი რეჟისორი, რომელიც არ დაბერდა, თვითონაა.

ეს ჩემთვის ადვილად ასახსნელია.

გენიოსები არ ბერდებიან.

დავწერე ეს სიტყვა და შემეშინდა იმის, რომ არ შემეშინდა.

„ასულნი“ კი ქართულ მასალაზეა - პოლიკარპე კაკაბაძის სამი პიესის საფუძველზე შექმნილი. ის, ჭეშმარიტად, საეტაპოა – არა მხოლოდ ახალი სასცენო ფორმებით, არა მხოლოდ მრავალპლანიანობით (ჯერ მარტო სათაურის სიმბოლიკა რად ღირს?!), არა მხოლოდ ფრაზებზე აგებულ მიზანსცენათა დიდოსტატური ასხმით...

* * *

რა ნელა გადის დრო?!

რა დიდხანს ველოდი იმ წუთს, როცა სტურუას სპექტაკლში ასეთ სანუკვარ ფრაზას მოვისმენდი: „ჩემო ერო!“..

თვითონ სტურუაც დიდხანს მიდიოდა ამ ფრაზამდე: „სანდომიან ლამაზ მამულში“...

დავივიწყებ თავმდაბლობას და ვიტყვი: მცირედი წვლილი თავადაც მიმიძღვის ამ წუთის დადგომაში.

შეჩერდი, წუთო, შენ საოცრად მშვენიერი ხარ!

* * *

არ დავმალავ: მეც მქონია „ეგოისტური ზრახვები“ რობერტ სტურუასთან დაკავშირებით.

„კავკასიური ცარცის წრე“

ძალიან მინდოდა, დაედგა როსტომ ჩხეიძის პიესა ალექსანდრე ბატონიშვილზე - „ლეგენდა ისკანდერისა“. პიესა, რომლის მსგავსზეც მისი კერპი - სანდრო ახმეტელი ოცნებობდა და დაწერას გიორგი შატბერაშვილს სთხოვდა.

უფრო მეტიც: მინდოდა, დაედგა ჩემი პიესა გალაკტიონზე („ცხადის ნაპირთან. ცხოვრება და სიკვდილი მეფე-პოეტისა“). მინდოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასავით ვერავინ გამოსახავდა სამი ანგელოზის „ქიშპობასა“ და ბედისწერის თემას, ანდა იმას, თუ როგორ ნელ-ნელა კლავდნენ პოეტს, არამედ იმიტომაც, რომ სიღრმისეულად ეგრძნო და გამოეხატა სამშობლოს გალაკტიონისეული განცდა, ილიასეულთან ესოდენ გადაჭდობილი: **„გემი ვით არ იცნობს ზღვას ვრცელს და განიერს, იგი ხომ მეზღვაურს სამშობლოდ ეკუთვნის. გახედე, მოხევევ, ჩვენს იმერ-ამიერს, ეკუთვნის თავის თავს?“...**

არ დადგა.

სტურუას კომუნისტები ვერ აძალებდნენ იმის დადგმას, რაც არ უნდოდა და მე და როსტომი როგორ დავაძალებთ?!

არა უშავს. მთავარია, ეს იგრძნო და გამოხატა: **„ჩემო ერო, სანდომიან ლამაზ მამულში დიდხანს გრძელდებოდა უკუნი ღამე, მაგრამ შენს წიაღში წმინდანებიც იბადებოდნენ“...**

უფრო მთავარი კი რობერტ სტურუას უდიდესი ღვაწლია, ამ უკუნი ღამის გასათენებლად გაღებული.

* * *

რა ჩქარა გადის დრო?!

რობერტ სტურუა 80 წლისაა?!

ისევ მივბაძავ და საკუთარს გავიმეორებ:

მიხეილ თუმანიშვილს დაუნდობლად ებრძოდნენ და ხშირად ტკენდნენ გულს.

მასაც ყველაფერი გულთან მიჰქონდა.

ამიტომაც ადრე დაბერდა (ცხადია, არა შემოქმედებითად) – 75 წლისა ნამდვილ ბაბუს ჰგავდა.

რობერტ სტურუას „გული არა აქვს“ და ამიტომ არასოდეს დაბერდება.

80 წლისაც ბიჭივითაა!

გენიოსები არ ბერდებიან!

დავწერე და ისევ არ შემეშინდა.

აღარც იმის შემეშინდა, რომ არ შემეშინდა!

* * *

ის არავის ჰგავს.

არც თავის დიდ პედაგოგს.

ერთხელ დაწერა, მე და თემურ ჩხეიძემ მიხეილ თუმანიშვილი შუაზე გავიყავითო.

იგულისხმება: თვითონ – უფრო სანახაობრივი მხარე „წამოიღო“, ჩხეიძემ - უფრო ფსიქოლოგიური.

მაგრამ ეს ყოველივე ხომ უაღრესად პირობითია:

„ყვარყვარეს“, „კავკასიურს“, „რიჩარდ მესამეს“ ისევე არ აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე, როგორც „ჯაყოს ხიზნებსა“ და „ჰაკი აძბას“ – სანახაობრიობა.

ხშირად მომისმენია ასეთი დიალოგი:

– სტურუა უფრო მასშტაბურია.

– სამაგიეროდ, ჩხეიძე უფრო ქართულია.

ეს ადრე იყო.

როცა სტურუასაც მოერია „მსოფლიო მოქალაქეობაზე“ ფიქრი და ცდუნება.

ვიდრე „ასულნი“ დაიდგმებოდა.

იქ ერთი ასეთი სცენაა: ჩვილს აძინებენ და ვერ აძინებენ, რადგან „იავნანას“ არ უმღერიან.

რა ნელა გადის დრო?!

რამდენ ხანს ველოდი იმ წუთს, როცა რობერტ სტურუას სპექტაკლში ასეთ სცენას ვნახავდი?!

ისიც წავიდა რუსეთში, ოღონდ, „სულ არ წავიდა.“

რაც მთავარია, იქ დადგა სპექტაკლი, რომლითაც აჩვენა, რომ რუსეთი ერთი დიდი საპყრობილეა!

ამისთვის ნამდვილად ღირდა რუსეთში წასვლა!

* * *

სტურუას მსახიობი არ უყვარსო, ჩხეიძე მსახიობში კვდებაო?!

„მარია კალასში“, ანუ ლელა ალიბეგაშვილში როგორ მოკვდა?!

ანდა რამაზ ჩხიკვაძის გენიალური ნიღბები სიძულვილმა შვა?!

* * *

ვინ არის ეს ჭუმბურიძე?! სტურუაზე რომ წერს, მაშინაც ჩხეიძეს ახსენებს?! – წამოიძახა წლების წინათ ერთმა ცნობილმა რეჟისორმა.

მაშინ თემურ ჩხეიძე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, პირველ წარმატებულ სპექტაკლებს დგამდა და იმ ცნობილი რეჟისორის გაღიზიანება ადვილად ასახსნელი იყო.

არადა, მართლა შეუძლებელია, ისაუბრო რობერტ სტურუაზე და თემურ ჩხეიძე არ ახსენო.

ანდა – პირიქით.

ჯერ კიდევ როდის მოიგონა პლუტარქემ „პარალელური ბიოგრაფიები!“

ფაქტია, რომ თანამედროვე ქართული თეატრის დონესა და პრესტიჟს, უპირატესად, ეს ორი რეჟისორი განსაზღვრავს.

ბედნიერებაა, რომ ერთ დროში გვყავს ორი ასეთი რეჟისორი, რომლებმაც მიხეილ თუმანიშვილი ჯერ „შუაზე გაიყვეს“, მერე კი, საკუთარი ტალანტით, ეს „ნახევრები“ სრულიად ორიგინალურად შეავსეს და გაამთლიანეს.

სხვათა შორის, ეს წელიწადი მეორისთვისაც საიუბილეოა: ნოემბერში თემურ ჩხეიძეს 75 წელი უსრულდება.

და ნოემბერში ვთქვათ, როგორ არ დაბერდა „ჯაყოს ხიზნები“ და როგორ რჩება თემურ ჩხეიძეც მარად ახალგაზრდა რეჟისორად.

* * *

„ჩემო მიშა, მე და შენ სხვადასხვა დროს ერთი და იგივე შეცდომა დავუშვით“ – ასე მიმართა დოდო ალექსიძემ მიხეილ თუმანიშვილს.

არსებობს აზრი, რომ სტურუამ და ჩხეიძემ ერთი და იგივე შეცდომა ერთდროულად დაუშვეს, მაგრამ დრომ უცილობლად დაამტკიცა: ისინი მართლაც „აღარ იყვნენ სტუდენტები“ და ორივეს საკუთარი ასპარეზი სჭირდებოდა.

სხვანაირად არ დაიბადებოდა - აქეთ „კავკასიური ცარცის წრე“ და იქით „ჯაყოს ხიზნები“...

* * *

„მიხეილ თუმანიშვილმა, თავის დროზე, დიამეტრალურად შეცვალა რუსთაველის თეატრის გეზი“ – წერდა ვერიკო ანჯაფარიძე.

და რა ძნელი იყო, ამის შემდეგ, ვინმეს კიდევ ახალი, საკუთარი სიტყვა ეთქვა.

ეს მხოლოდ დიდ ტალანტს შეეძლო.

ის რობერტ სტურუა უნდა ყოფილიყო.

რუსთაველის თეატრის დასს აღმოაჩნდა სიბრძნე, გაეთვალისწინებინა წინა ეპოქათა მწარე შეცდომები და სტურუას ვერასოდეს შელეოდა.

მაშინაც კი, როცა ხელისუფლებისგან შერისხული და თეატრიდან გაშვებული იყო.

სტურუა ამ მხრივაც უნიკალურია – ასე ხანგრძლივად არავინ დარჩენილა დასის სათავეში.

არადა, ზემოხსენებულ ინტერვიუში ამბობს, დიქტატორს მეძახიანო, რასაც არ ეთანხმება, თუმცა, არც ბოლომდე უარყოფს – „ხავერდოვანი დიქტატორი“ ვარო.

რეჟისორი აუცილებლად უნდა იყოს ასეთი „დიქტატორი“

ღმერთო მაღალო, დიდხანს ნუ მოუშლი რუსთაველის თეატრს რობერტ სტურუას „ხავერდოვან დიქტატორობას“...

იოსებ ჭუმბურიძე

სცენა სპექტაკლიდან „დაკანონებული უკანონობა“

ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი



ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

სიყვარულსა და მეგობრობაზე

უკეთუ მარტო იქნები, სულ ერთიანად
შენს თავს მიეკუთვნები.

ლეონარდოს პირად ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. მეგობრები ბევრი ჰყოლია და თურმე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ამ მეგობრობას, მაგრამ პირად ურთიერთობებზე და პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ ჰყვარებია.

ფუნჯსა და საღებავებს ხელიდან არ იშორებდა, ამავე დროს ერთ-ერთი პირველი და სწორუპოვარი იყო ჰერცოგთა, მეფეთა და ზეპურ ქალბატონთა ფერხულში, რაც მიღებული კი იყო, მაგრამ არ უყვარდათ კვატროჩენტოს ხანაში. ქალებში კი ტრიალებდა, ოღონდ ცოლი არ ჰყოლია. როგორც სუყოველ დიდ ხელოვანს, ჭორების ბადეში გახვევა არც იმას აკლდა.

როგორც ამბობენ, ლეონარდოს რომანი ჰქონდა ლოდოვიკო მოროს ფავორიტთან ჩეჩილია გალერანისთან, რომლის სახე მან აღბეჭდა „ბანოვანი ყარყუმითურთ“ სახელდებულ სურათში. ამ ბანოვანივით გულმისავალია მარკიზა იზაბელა დესტე, ჰერცოგ სფორცას ცოლისდა, რომლის დაუმთავრებელი პორტრეტიც ლეონარდოს ხელს ეკუთვნის.

დიდ ხელოვანს ცხოვრებაში ჰყოფნიდა თავისი შინაგანი წესრიგი, მაგრამ სული მაინც სთხოვდა არა მიწიერ, არამედ კოსმოსურ უსასრულობას, რეალურსა და ხილულს.

ერთი სიტყვით, ლეონარდოს მოციქულობის პრეტენზია არ ჰქონია! თავისთვის ბედნიერად ცხოვრობდა. ფიქრობდა, კითხულობდა, წერდა, თამაშობდა, ათას რასმე იგონებდა, თავის ნათელ აზრებს ზედმეტი სენტიმენტებით არ ბურდავდა.

* * *

უკეთუ თავხელმარტო ცხოვრობ, მაშინ სულ ერთიანად შენი თავის კუთვნილება ხარ. უკეთუ შენ გვერდით თუნდაც ერთი ვინმეა, მაშინ შენს თავს მხოლოდ ნახევრად ეკუთვნი. ან იქნებ ნაკლებადაც, გააჩნია იმ კაცის საქციელის უზრუნველობის პროპორციულობას; ხოლო უკეთუ შენ გვერდით ერთ კაცზე მეტია, მაშინ სულ უფრო ღრმად და ღრმად იძირები სავალალო მდგომარეობაში.

* * *

ის უღირსეულესია, რაც საუკეთესო გრძნობას აკმაყოფილებს.

* * *

ჭეშმარიტი სიყვარული უბედურებაში იჩენს თავს, ცეცხლიც აკი ეგრეა — მით უფრო კაშკაშებს, რაც უფრო კუნაპეტი ღამეა.

* * *

უკეთუ გინდა, რომ ჩემი სხეული გადაგიშალო, სანაცვლოდ მწადს, რომ სული გადამიშალო. ამიტომ მითხარი, სხვა მეტი არაფრისა გეშინის?

— როგორ არა, სულმოკლეობა მაშინებს.

* * *

უკეთუ ჩასახვა დიდი სიყვარულით და ორსავე მხრიდან დიდი სურვილით ხდება, მაშინ ბავშვს თან დაჰყვება დიდი გონიერება და გონებამახვილობა, სიცქვიტე და სიკოხტავე.

* * *

ვისაც არ ძალუძს თავისი ავხორცული სურვილების ალაგმვა, თავის თავს პირუტყვის დონეზე აყენებს.

* * *

სიყვარული მხოლოდ იმისი შეიძლება, რაც უწყი.

* * *

ტკბილისთვის მწარედ გადახდა გვიწევს.

* * *

სიყმაწვილის მოციაგე სილამაზე თავის სრულყოფილებაში ბევრად მცირდება ჭარბ და მეტისმეტად ნატიფ სამკაულთაგან.

* * *

ვისაც ერთგულ მეგობართა ყოლა სურს, სუყოველი კეთილი და მომთმენი უნდა იყვეს, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად არ უნდა მიაჩნდეს. პატივისცემასა და დაფასებას ძალით ვერ მოიპოვებ, ამისთვის საჭიროა დიდსულოვნება და გაჭირვებულისთვის უკანასკნელი ლუკმის გასაყოფად მზადყოფნა.

* * *

სხვას რომ შეურაცხყოფ, შენს თავზე არა ზრუნავ.

* * *

მოწინააღმდეგე, რომელიც შეცდომებს არ გიმალავს, ბევრად უფრო გარგია, ვიდრე ის მეგობარი, რომელიც შეცოდმებს გიჩქმალავს.

* * *

რაც უფრო დიდსულოვანია ადამიანი, მით უფრო ღრმა სიყვარული გამოარჩევს.

* * *

სუყოველ კოცნას უსტარი მოაქვს, ამაში „მშვიდობით“ ეწერა.

* * *

უმაღლესი ბედნიერება უბედურების მიზეზია, უსრულყოფილესი, უბედურება კი — სისულელის შესაძლებლობა.

* * *

აზრები პირს იქით იბრუნებენ, სადაც იმედია.

* * *

სადაც იმედი კვდება, იქ სიცარიელე ჩნდება.

დროის შესახებ

ო, დრო-ჟამო! ყოველივე ქმნილის წამისუმალ დამანგრეველო! რამდენი მეფე, რამდენი ადამის შვილი დაგიმხია! ვინ უწყის, რაოდენ ბევრი რამ შეიცვალა იმის მერე, რაც ეს საუცხოო თევზი მოკვდა, ჯილეში თავშეფარებული! და ახლა, დროით დამარცხებული, სიცარიელეში წევს, ცარიელი ჩინჩხი, გაქვავებული, მთის ძირში, რომელი მთაც მას ზედა ამაღლებულა.

მოვიდა შედეგთა იმისი დრო-ჟამიც. „მეფის პირველი მხატვარი, ინჟინერი და არქიტექტორი“ ლეონარდო დინჯად განაგრძობდა მუშაობას საფრანგეთში, მეფის ციხე-დარბაზ არბუაზეში, თუმცა მარჯვენა ხელი წვეთდაცემული ჰქონდა და თავისი ნახელკეთილარი სათვალე ეკეთა.

მხედველობაზე ყველაფერი იცოდა და ოპტიკური ილუზიები უკვე ვეღარ ნუსხავდა. აღარც ძველ დაუმთავრებელ სურათებს აქცევდა ყუარდღებას, თორმეტი სურათი საგანგებოდ დაუმთავრებელი ჰქონდა, ხოლო დამთავრებულ, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო დაზიანებულს აღარ ასწორებდა. დაუმთავრებლობა, ანუ საქმის განაყიშება ცხოვრების წესად მიაჩნდა და საგანგებო შემადგენლობაც კი გამოიგონა, რომლის საშუალებითაც ტილოზე „დაუმთავრებლობის ფანჯარას“ ქმნიდა.

ლეონარდოს ავტოპორტრეტები არ შემორჩენილა, მხოლოდ ის ერთი სურათია ჩვენამდე მიღწეული, რომელიც 1512-1515 წლებით არის დათარიღებული და ბერიკაცს გამოხატავს. თუმცა ის „საიდუმლო სერობის“ ერთ-ერთი მოციქულის თავის ოდენ ეტიუდად არის დღეს მიჩნეული, მაგრამ აშკარად მარტოსულის მზერაა გამოსახული თვითონ მაესტროსი, რომელიც სიცოცხლეშივე ეზიარა დიდებას, რამაც იგი პირქუშ მოხუცად აქცია.

დაუმთავრებლობის საერთო პრინციპის მიუხედავად, ლეონარდოს გამოგონებებმა და მეცნიერულმა პროექტებმა საუკუნეებში იპოვა გაგრძელება. ზარბაზან-ქვემეხები, უნიჩბო ნავები, სუბმარინები, ასაფრენი მანქანები, არქიტექტურა და ქალაქთმშენებლობა თავისი გზებითა და ხიდებით, ქიმია, ალქიმია, ანატომია, ბიოლოგია და ბოტანიკა, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ყველაფერი ეხელქვეითებოდა იმის ტიტანურ სულსა და გონებას. რაც შეეხება დაუმთავრებლობას, შესაძლებელია, რაღაც მიუწვდომელი ალღოთი გრძნობდა, რომ ზოგი რამ ნაადრევი იყო და ადამიანებს სიკეთეს ვერ მოუტანდა.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მან ანდერძი დაწერა, რომლის მიხედვითაც თავისი სურათები და რვეულები დაუტოვა ფრანჩესკო მელციის, ფული — ძმებს დედინაცვლის მხრიდან, ხოლო ვენახი მილანის ახლოისად და „ჯოკონდა“ — სალაინოს. თავისი დაკრძალვის რეჟისორიც თავადვე იყო და დაიბარა: „კათოლიკური წეს-ჩვეულებით სამი დიდი მესა აღმისრულეთ და ოცდაათიც მცირე ოთხ ეკლესიაშიო. ხელჩირაღდნიან და ხელსანთლიან* ბერთა და მოზარეთა ასაბიამ უნდა გამინათოს გზაო...“

1519 წლის 2 მაისს ლეონარდო და ვინჩიმ უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა: „მე შევურაცხყავი ღმერთი და ადამის შვილნი. ჩემმა სამუშაომ ვერ მიაღწია იმ ხარისხს, რომლისთვისაც უნდა მიეღწიაო“.

უფალი და ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე, თავისი კაცთმოყვარების მადლითა და უხვებით მიუტევებს მონანულს... ამინ!

* * *

წყალი, რომელსაც ეხები, უკანასკნელია, რომელიც წარედინა და პირველია, რომელიც მოედინა. ეგრევეა დრო-ჟამის ამბავიც.

* * *

ო, დრო-ჟამო, ყოვლის დამანგრეველო, ძველო მომხვეჭელო, რომელიც ნელი-ნელ ნადგურყოფ სუყოველ საგანს სიბერეშეპარული მაგ შენი ძველი კბილებით, ნელო მკვლელო!

ო, გაუმაძღარო სიბერევ, რომლისაგანაც ყოველივე იღუპება...

* * *

როგორც კარგად განვლილი დღე მშვიდად გვაძინებს, ასევე ნაყოფიერად განვლილ ცხოვრებასაც მშვიდი სიკვდილი მოაქვს.

* * *

სიყმაწვილეში იმის შეძენა მოასწარი, რაც სიბერეში მიყენებულ ზარალს წლებს აანაზღაურებინებს და მიხვდები რა, რომ სიბერის საზრდო სიბრძნეა, სიყმაწვილეში ისე იმოქმედე, სიბერე უსაზრდოო არ დაგრჩეს.

* * *

ახალგაზრდობა შეკითხვებით გამოირჩევა, რომელთაც მერე უკვე სიბერე უპასუხებს.

* * *

ჩვენი სიცოცხლე შექმნილია სხვათა სიკვდილებით.

* * *

დიადი შრომები ჯილდოვდება სიყმილით, წყურვილით, კირთებითა და ელდით, ჩხვლეტით, ლანძღვა-გინებითა და გაუგონარი უნამუსობით, ანუ უპირისწყლობით.

** ის 40 ფუნტის (18 კგ) სასანთლე ცვილის ხარჯს ანაზღაურებდა.*

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №149-152

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲓᲐ „ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ“ ᲨᲘᲓᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

10 ᲬᲔᲚᲘ სრულდება 2008 წლის ომიდან. საქართველოში მცხოვრები დევნილებისა და კონფლიქტის ზონაში ომით დაზარალებული ადამიანებისთვის სტრესთან და ომის ზიანთან გამკლავების საკითხი კვლავ მტკივნეულ პრობლემად და დაუძლეველ გამოწვევად რჩება. არც დე ფაქტო ადმინისტრაციების ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვისაც არ დგას ეკონომიკური აღორძინების ხანა, მიუხედავად იმისა, რომ იქ აღიარების 10 წლისთავის აღნიშვნას დე ფაქტო ხელისუფლება პომპეზურად ცდილობს და საგარეო „მოკავშირეებსაც“ პოულობს, უკანასკნელ შემთხვევაში, სირიის სახით.

დაახლოებით, 26 ოჯახის ბედი, რომელთა საცხოვრებელი სახლები 2008 წლის ომის შედეგად დაზარალდა, დღემდე გაურკვეველია.ყველა მათგანი ერთი სოფლიდან, ზარდიაანთკარიდანაა. გასულ წელს სოფელს ხელისუფლების წარმომადგენლები ესტუმრნენ და სახლების რეაბილიტაციას დაპირდნენ. დასახელდა კონკრეტული თანხაც, 750 ათასი ლარი, თუმცა საკითხი დღემდე არ დაძრულა.

„ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ზარდიაანთკარის ერთ-ერთი მცხოვრები **ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲗᲐᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ამბობს:

„რა გითხრათ, ჩვენ 2012 წელს, ივლისის თვეში შემოვედით სოფელში და იმის შემდგომ არაფერი არ გაუმჯობესებულა. როგორი ვითარებაც დაგვხვდა, ახლაც ასეა. სახლები ჭურვებისგან დაზიანებულია და არავის აღუდგენია. 2008 წლამდე ხილი გვქონდა, ბაღები გვქონდა. ბაღები ახლაც გვაქვს, მაგრამ ხილი გახმა, რადგან სარწყავი წყალი არ იყო. წელს გვაქვს მორწყვის საშუალება. 2008 წლამდე, სიმინდიც, ლობიოც მოგვყავდა, ბაზარში დავდიოდით, ამ პროდუქტს ვყიდდით და ვცხოვრობდით. ახლაც კი ვცხოვრობთ, მაგრამ არაფერი გვაქვს. მარტო მე კი არ ვარ ასე, ყველა ასეა სოფელში,“ — გვეუბნება ცისანა თაზიაშვილი და ჭურვებისგან დაზიანებული სახლების შესახებ აგრძელებს საუბარს.

სახალხო დამცველმაც რამდენჯერმე მისწერა ხელისუფლებას და მოითხოვა პასუხი იმის თაობაზე, თუ რატომ არაა გადაჭრილი ზარდიაანთკარელების საკითხი, მაგრამ პასუხი არ აქვთო — დასძენს ქალბატონი ცისანა. პასუხი კითხვაზე, რა შემოსავლით ცხოვრობს მისი ოჯახი, ასეთია:

„სოციალური დახმარება გვაქვს, სამნი ვართ ოჯახში, მე, ჩემი ქმარი და შვილი. მარწყვის საკრეფად ვიარე, ახლა მოცვის საკრეფად დავდივარ, დღეში 20 ლარია მუშის ხელფასი. მერე დაიწყება შინდის სეზონი, მერე ქლიავის, ვაშლის და თვეში 10 დღე, შემოდგომამდე ასე გამომდის. შარშან თქვეს, რომ ზარდიაანთკარში სახლების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 750 ათასი ლარიო, სახურავებისა და კარფანჯრისთვის. იყო კომისია, ყველა სახლი აღწერეს და ასე გამოვიდა, გამოიყო ეს თანხა, მაგრამ სად წავიდა, არ ვიცით, ქალაქის მერს რომ ვკითხეთ, არ ვარ საქმის კურსშიო, გვითხრა“.

„ამერიკის ხმა“ გორის საკრებულოს დეპუტატს **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ესაუბრა. ის გახლავთ ზარდიაანთკარელების წარმომადგენელი ადგილობრივ საკრებულოში. აი, რას ამბობს ჩვენთან საუბრისას დეპუტატი:

„ზარდიაანთკარში იყვნენ მოსულები ხელისუფლების წარმომადგენლები და ხალხს უთხრეს, გამოვყოფთ თანხას სახლების რეაბილიტაციისთვისო. ვიცი, რომ შეიქმნა კომისია, რადგან დაიარეს აქ ადგილზე, შეამოწმეს სახლები, აღწერეს და 750 ათასი ლარი უნდა გადმორიცხულიყო. მოლოდინის რეჟიმში ვართ ისევ. ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა განხორციელებულიყო ხარჯვა“...

„ამერიკის ხმა“ ასევე ესაუბრა **ᲚᲐᲨᲐ ᲓᲐᲠᲡᲐᲚᲘᲐᲡ,** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის მოადგილეს:

„კი ვიცი, კომისიის შესახებ. მისი ხელმძღვანელი დეტალურად ინფორმირებულია საქმის თაობაზე. თუ შეგიძლიათ, მოგვიანებით დამიკავშირდეთ, გიპასუხებთ“...

ამასობაში კი ანატოლი ბიბილოვმა, დე ფაქტო ადმინისტრაციის პრეზიდენტმა სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, მის პრეზიდენტს ბაშარ ასადსა და მთავრობის ხელმძღვანელს შეხვდა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მთელი რიგი გეგმებიც შეადგინა.

„ჩვენ დიდად ვაფასებთ თანამშრომლობისკენ მიმართულ შეთანხმებებს. დღეს სირიის არაბული რესპუბლიკა მიისწაფვის მშვიდობიანი ცხოვრებისა და აღმშენებლობისკენ, რაშიც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ მეგობრულად განწყობილმა ქვეყნებმა — რუსეთის ფედერაციამ, ირანმა და სამხრეთ ოსეთმა. ჩვენ ასევე გამოვთქვამთ სურვილს, რომ სირიისა და სამხრეთ ოსეთის კომპანიებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, იმუშაონ როგორც სირიაში, ასევე სამხრეთ ოსეთში,“ — განაცხადა იმად ხამისმა, სირიის მთავრობის ხელმძღვანელმა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობის გეგმების თანახმად, სირიის აღმშენებლობით პროცესში მონაწილეობა სამხრეთ ოსეთურმა კომპანიებმა უნდა მიიღონ.

ანატოლი ბიბილოვმა სირია სამხრეთ ოსეთს შეადარა და განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკების ბედი მსგავსია, რადგან სამხრეთ ოსეთიც ისევე აღმოჩნდა აგრესიისა და სანქციების, ასევე ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის პირისპირ, როგორც სირია.

„ჩვენ ერთი მსოფლმხედველობა გვაქვს, ამიტომ იოლად გავუგებთ ერთმანეთს და განვავითარებთ პარტნიორულ ურთიერთობებს,“ — ამბობს ბიბილოვი.

მას შემდეგ, რაც სირიისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ეკომონიკის მინისტრებს შორის გაფორმდება ხელშეკრულებები, სირიის მთავრობის ხელმძღვანელს იმედი აქვს, რომ უკვე ბიზნესშეხვედრები გაიმართება და სირიელი საქმოსნები ესტუმრებიან სამხრეთ ოსეთს. ეკონომიკური შეთანხმებების შედეგად, სირიელი და სამხრეთ ოსეთელი პოლიტიკოსები მესამე ქვეყნების საავჭრო ბაზრის ათვისებას გეგმავენ.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲕᲐᲙᲣᲜᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲛᲔᲜᲐᲨᲔᲜᲔᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ“ მომხმარებლებს ბინის შეძენისთვის საჭირო რეკომენდაციებს აძლევს, რომლებიც ყოველთვის დაეხმარება მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში.

მენაშენეების თქმით, ბინის შეძენისას უამრავი წვრილმანისა და ფუნდამენტური საკითხის გათვალისწინებაა საჭირო, რათა მომხმარებელმა ზუსტად ის მიიღოს, რაშიც ფულის გადახდას აპირებს.

ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ №3 — ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ:

- **მოითხოვეთ მშენებლობის ნებართვა და შეამოწმეთ დასრულების ვადა;**
- **მოითხოვეთ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა და კონსტრუქციული პროექტი, შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით;**
- **თუ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნაში ნათქვამია, რომ შენობის დაფუძნების ადგილას არსებობს გრუნტის წყლები, დარწმუნდით რომ შენობის საძირკველს და მიწაში ჩაღრმავებულ ნაწილს უკეთდება შესაბამისი ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები და დრენაჟი;**
- **გაარკვიეთ, რომელი კომპანიების ბეტონს და არმატურას იყენებს მშენებელი კომპანია, მოითხოვეთ შესაბამისობის სერტიფიკატები;**
- **გაარკვიეთ, აწარმოებს თუ არა მშენებელი კომპანია ფარული სამუშაოების აქტებს და უტარდება თუ არა ობიექტს საავტორო ზედამხედველობა;**
- **ხშირ შემთხვევაში სამშენებლო პროცესის დიდ ხანგძლივობას ასაბუთებენ ტექნოლოგიური აუცილებლობით, რომ ბეტონს ჭირდება ერთი თვე გაშრობა და თითქოს ჩქარი მშენებლობა უხარისხოდ მშენებლობას ნიშნავს. ძირითად შემთხვევებში კი ხანგძლივი მშენებლობის პროცესი გამოწვეულია ფინანსების პრობლემით ან არაკომპეტენტურობით;**
- **თუ თქვენი ბინის თავზე მეზობლის ტერასა ან სახურავია, მოითხოვეთ დაგისაბუთონ, როგორ უზრუნველყოფს სამშენებლო კომპანია ჰიდრო და თბოიზოლაციას;**
- **დააზუსტეთ ბინის ჩაბარების კონდიცია არა მხოლოდ შიდა პერიმეტრზე, არამედ სადარბაზოში და ეზოს კეთილმოწყობის ნაწილში;**
- **დააზუსტეთ საინჟინრო ქსელების (გაზი, დენი, წყალი, ვენტილაცია, კანალიზაცია, ინტერნეტი, დომოფონი და ა.შ.) ჩაბარების კონდიცია;**
- **დააზუსტეთ ძირითადი სამშენებლო მასალების (მეტალოპლასტმასი, ბლოკი, ფასადი, ლითონის ნაკეთობები, სადენები, მილგაყვანილობა და ა.შ.) მომწოდებლები. გამოართვით კომპანიას ინფორმაცია სამშენებლო მასალებთან დაკავშირებით — სამშენებლო მასალების ხარისხი განაპირობებს ფასს, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახლის სიმყარეს, ენერგოეფექტურებას და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს;**
- **დააზუსტეთ კონკრეტულად რა გადასახადები გექნებათ დამატებით, გარდა ბინის ღირებულებისა.**

მენაშენეთა პირველი და მეორე რეკომენდაციები სამშენებლო კომპანიისა და ბინის სწორად შერჩევის საკითხებს ეხებოდა.

„მენაშენეთა ასოციაცია“ მომხმარებლებს, სულ, 8 რეკომენდაციას აძლევს, რომლებიც სასურველია, გაითვალისწინონ ბინის შეძენისა და შემდგომი სარგებლობისას. მენაშენეთა რეკომენდაციებს ეტაპობრივად გაგაცნობთ.

COMMERSANT.GE

„...სხვამ არავინ იცის, რას და ვის გულისხმობდა იგი“

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის სატელევიზიო განცხადებებს, საქართველოს საპატრიარქო ეხმაურება და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

როგორც ცნობილია, ა.წ. 23 ივლისს „ტვ პირველის“ ეთერში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) გამოსვლამ დატოვა კითხვები, რასაც შემდეგ „რუსთავი-2“-მა სამი გადაცემა მიუძღვნა, თემა „განავითარა“ და ვფიქრობთ, ყოველივე ამის მიზანი იყო, ჩრდილი მიეყენებინათ მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) მიმართ საზოგადოებაში არსებული დადებითი განწყობისადმი და, სხვა მიზეზი რომ ვერ მოძებნეს, მოინდომეს მისი პრორუსულ ძალად წარმოჩენა, რომელიც, თურმე, კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრედ მისმა უწმინდესობამ იძულებით გამოარჩია (მიანიშნებენ რუსულ ჩარევაზე) და ასევე იძულებით, დაჩქარებული წესით, უნდა მომხდარიყო პატრიარქად მისი გახდომა.

ამ იდეების გამავრცელებლებმა სინამდვილეში თვითონაც კარგად იციან კათოლიკოს-პატრიარქის ხასიათი, რომ ვინმეს ზეწოლით იგი არასდროს მოქმედებს და გამორიცხულია მისი იძულება, მით უმეტეს ეკლესიისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით; რა თქმა უნდა, იგივე ითქმის მოსაყდრესთან მიმართებაშიც.

ხოლო თუ კი წამოჭრილ თემასთან დაკავშირებით კითხვები მაინც ვინმეს აქვს, უნდა მიმართონ მეუფე გრიგოლს (ბერბიჭაშვილი), რადგან, როგორც ჩანს, რეალურად სხვამ არავინ იცის, რას და ვის გულისხმობდა იგი“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაზა შავგულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა შავგულიძე (პ/ნ 60001005819), ქუთაისი, ეგ. ნინოშვილის XIV შესახვევი №57.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, ეგ. ნინოშვილის XIV შესახვევი №47 (ყოფილი 37ა) (საკადასტრო კოდი: 03.04.31.091).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 71990.77 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 31 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 აგვისტო, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP54257418;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 542574
6. **მოვალე:** ზაზა შავგულიძე (პ/ნ 60001005819), ქუთაისი, ეგ. ნინოშვილის XIV შესახვევი №57;
კობა შავგულიძე (პ/ნ 60001041136), ქუთაისი, ეგ. ნინოშვილის XIV შესახვევი №57.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP54257418; ლოტის ნომერი: 542574).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნარგიზი ჭუმბურიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნარგიზი ჭუმბურიძე (პ/ნ 01003020036), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 30, ბინა 48.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, დასახლება მუხიანი 2-ის, ვარდისუბანის ქ. №87 (საკადასტრო კოდი: 72.13.13.366 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22422.76 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 31 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP54257218;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 542572
6. **მოვალე:** ანა კერვალიშვილი (პ/ნ 01001049747), თბილისი, გლდანის მასივი „ა“ მ/რ, კორპუსი 1, ბინა №24;
ნარგიზი ჭუმბურიძე (პ/ნ 01003020036), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორუსი 30, ბინა 48
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP54257218; ლოტის ნომერი: 542572).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლელა კაპანაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლელა კაპანაძე (პ/ნ 11001026943), თბილისი, სოლომონ ქურდიანის 43.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ქურდიანის 43 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.019.023https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17963.75 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 31 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP54256918;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 542569
6. **მოვალე:** მიხეილ ღონღაძე (პ/ნ 11001013338), თბილისი, სოლომონ ქურდიანის 41
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP54256918; ლოტის ნომერი: 542569).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 17 აგვისტოს 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ ჩოგბურთი

ისტორიული გამარჯვება გერმანიაში



საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა გერმანიის ღია პირველობაზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა — კარიერაში ATP-ის ტიტული პირველად მოიგო და მსოფლიოს კლასიფიკაციაში 1215 ქულით 35-ე ადგილამდე აღზევდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს ATP-ის 500-ქულიანი კატეგორიის ტურნირში ამგვარი წარმატების პირველი შემთხვევაა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს რეიტინგშიც 35-ე ადგილი საუკეთესოა, რადგან აქამდე რეკორდსმენი (42-ე ადგილი) ირაკლი ლაბაძე იყო. გერმანიის ღია პირველობაზე ბასილაშვილმა ზედიზედ დაამარცხა გამოცდილი ჩოგბურთელები: გერმანელი ფილიპ კოლშრაიბერი — 7:5, 1:6 6:4, ურუგვაელი პაბლო კუევასი — 7:6, 6:4, ესპანელი პაბლო კარენო ბუსტა — 7:6, 6:4, ჩილელი ნიკოლას იარი — 7:5, 0:6, 6:1, ფინალში კი არგენტინელ ლეონარდო მაიერს აჯობა — 6:4, 0:6, 7:5 და მთავარი პრიზი მოიპოვა. ამ გამარჯვებით ქართველმა ჩოგბურთელმა 500 სარეიტინგო ქულა და 349 200 ევრო დაიმსახურა.

დღეს ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრიულ „კიციუელში“ 250-იან ტურნირში ჩაებმება — ძირითადი ბადის სტარტზე მსოფლიოს რეიტინგის 87-ე ნომერ სერბ ლასლო დიერეს შეხვდება. 2015 წელს საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურმა დიერე 6:4, 6:4 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ 2016 წელს ბასილაშვილი კიცბიუელის ტურნირის ფინალში გავიდა, სადაც იტალიელ პაოლო ლორენცისთან 3:6, 4:6 წააგო.

ლაშა დიდია

◎ ძალოსნობა

ქართველთა აპენინური ნადავლი

მილანში დამთავრდა 15 და 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა 15 მედალი და ბუენოს აირესის მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვეს. შეჯიბრების ბოლო ორ დღეს ჩვენმა ათლეტებმა სასპორტო ყულაბა ხუთი მედლით დაამძიმეს.

17-წლამდელთა 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზაზა ლომთაძემ ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა, 138 კილოგრამი აიტაცა და მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურს ტოგლა ბაკიჩმა (თურქეთი, 149 კგ) და ტერმენხან ბაბაევმა (აზერბაიჯანი, 145 კგ) აჯობეს.

ლომთაძემ აკვრაშიც იყოჩაღა — 173 კილოგრამით ვერცხლის მედალი დაიმსახურა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აქ ბაბაევი ავიდა — 180 კგ, ხოლო მესამე იყო ბაკიჩი — 170 კგ. ორჭიდში კი ადგილები ასე განაწილდა:

94 კგ. 1. ტერმენხან ბაბაევი (აზერბაიჯანი) — 325 (145+180); 2. ტოგლა ბაკიჩი (თურქეთი) — 319 (149+170); 3. ზაზა ლომთაძე (საქართველო) — 311 (138+173).

მძიმე წონაში (+94 კგ) თორნიკე ტაბატაძემ იყოჩაღა: ატაცში 147 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი ხვდა. პირველი იყო ბულგარელი ხრისტო ხრისტოვი — 166 კგ. მას თერთმეტი კილოგრამით ჩამორჩა ჰოლანდიელი ენცო კოფი კუვორგე, რომელსაც ამ მოძრაობაში ვერცხლი ერგო. აკვრაში ტაბატაძე 177 კილოგრამით მე-4 ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, ორჭიდში ერგო მეორე ბრინჯაოს მედალი.

+94 კგ. 1.ხრისტო ხრისტოვი (ბულგარეთი) — 364 (166+198); 2.ენცო კოფი კუვორგე (ჰოლანდია) — 357 (155+202); 3.თორნიკე ტაბატაძე (საქართველო) — 324 (147+177)... 7. აკაკი ტალახაძე (საქართველო) — 303 (142+161).

17-წლამდელთა ტურნირზე არალიცენზირებულ ქვეყნებს შორის მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშების ოთხი საგზური თამაშდებოდა. უმძიმეს პაექრობაში (საერთო ჩათვლაში ექვსი სპორტსმენის შედეგები შედიოდა) საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა 159 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ბუენოს აირესის ლიცენზიაც დაიმსახურა.

ქართველმა სპორტსმენებმა მილანში **1 ოქროს** (არჩილ მალაყმაძე), **6 ვერცხლის** (არჩილ მალაყმაძე — 2, ლომია თებიძე — 3, ზაზა ლომთაძე — 1), **8 ბრინჯაოს** (საბა ასანიძე — 2, ედუარდ კაკაბაძე — 2, ზაზა ლომთაძე — 2, თორნიკე ტაბატაძე — 2) მედალი დაიმსახურეს და ჩემპიონატის საერთო გუნდურ ჩათვლაში 534 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს. ჩვენები მხოლოდ თურქებს (558 ქულა) ჩამორჩნენ. 511 ქულით მესამე ადგილზე მასპინძლები გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ძიუდო

ოქროს დაბრუნება

ზაგრების სპორტის სასახლეში საქართველოს ჰიმნი ორჯერ აჟღერდა — ძიუდოისტთა გრან პრიზე ჩვენმა ფალავნებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ავთანდილ ჭრიკიშვილი (90 კგ) და გურამ თუშიშვილი (+100 კგ), ხოლო ლაშა ტაველურმა (100 კგ) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ტატამს. ხორვატეთში 27 წლის ქართველმა ძიუდოისტმა ექვსივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო — ზედიზედ სძლია შვეიცარიელ სირილ გროსკლაუსს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრების წევრ სერგიუ ტომას, ჩეხ დავიდ კლამერს, ბრიტანელ მაქს სტიუარტს და ფრანგ აქსელ კლერჟეს, გადამწყვეტ პაექრობაში



ავთანდილ ჭრიკიშვილი

კი კუბელ ეშლი გონზალესს აჯობა.

გურამ თუშიშვილმა ჩილელი ფრანსისკო სოლისი, უზბეკი ბეკმორუდ ოლტიბოევი და აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე უშანგი კოკაური იპონებით დაამარცხა, ნახევარფინალში ევროპის და მსოფლიოს პრიზიორი, უკრაინელი იაკივ ხამოსი ვაზარით ჩამოიშორა გზიდან, ხოლო ფინალში რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ორ სასონი (ისრაელი) ბეჭებით გააკრა ტატამს.

გურამ თუშიშვილი

ამავე უქმეებზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმაც გვასახელა, რომელმაც ბერლინში გამართულ ევროპის თასზე 5 მედალი მოიპოვა:

„ოქრო“ — ვლადიმერ ახალკაცი (81 კგ), ლაშა ბექაური (90 კგ).

„ვერცხლი“ — ალეკო მამიაშვილი (73 კგ).

„ბრინჯაო“ — ივანე ხუბაშვილი (55 კგ), გიორგი ნიაზაშვილი (66 კგ).

გივი გაგუა

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ეს ტაიმია საქართველოსი

თბილისში დაწყებულ „ზაფხულის თასზე“ პირველი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს XV ნაკრებმა. ბესიკ ხამაშურიძის გუნდმა არგენტინა XV-ს 23:22 სძლია.

პირველი ტაიმის ბოლოს სტუმრები სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ — 22:7, მაგრამ შესვენების შემდეგ „ბორჯღალოსნებმა“ თედო აბჟანდაძის ძალისხმევით გარდატეხის შეტანა შეძლეს თამაშში.

„რასინგი“ — ბრაზილია 45:7.

3 აგვისტოს ითამაშებენ: „რასინგი“ — არგენტინა XV (19 სთ), საქართველო XV — ბრაზილია (21:30 სთ).

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ბურთისმოყვარე შალანა სანტანა

თუკი ბრაზილიელები არ იღლებიან ულამაზეს ასულთა ასპარეზზე გამოგგმანებითა და ჩვენი დაფეთებით, ვითომ ჩვენ რატომ უნდა დავიღალოთ ყავის ქვეყნის დიდებულ დიაცთა გამომზეურებით?! მით უმეტეს, როდესაც ზაფხულია და ფიქრნი ჩვენნი ოდეს მშვენიერებაზედაა გადაგებული.

მაშ ასე, წარმოგიდგენთ კიდევ ერთ უშხვართეს ბრაზილიელ ლამაზმანს, ცნობილ მოდელსა და საზოგადო მოღვაწეს — შალანა სანტანას. რა გასაკვირია, რომ იგი ბრაზილიის მისებრ დიდებულ ასულთა მსგავსად ფეხბურთითაა მოწამლული და თავს ისიც ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების თილისმად რაცხს. სხვებთან შედარებით შალანას უპირატესობა კი ისაა, რომ უმრწემეს ასაკში თავადაც კოხტად თამაშობდა ფეხბურთს და ბურთის გორების საკითხში სხვებზე მეტიც გაეგება.

რთველი: სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ყურძნის ფასის ამაღლებაზე!

წელს რთველი შესაძლოა, ნაადრევად დაიწყოს, რადგან ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო ყურძენი დროზე ადრე მწიფდება. მზადება დაიწყეს ღვინის კომპანიებმაც, თუმცა ცნობილი გახდა, რომ წელს რთველი სუბსიდირების გარეშე ჩაივლის. სახელმწიფო ამ დარგში ფულის დახარჯვას აღარ აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

რთველს კოორდინაციას გაუწევს ღვინის ეროვნული სააგენტო. შტაბი თელავში 20 აგვისტოს გაიხსნება. რა მოლოდინები აქვთ მევენახეებს და რა რაოდენობის მოსავალს ელიან?

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გლეხებზე და მოუმატოს ყურძნის ჩაბარების ფასი, რათა გლეხმა აინაზღაუროს დანახარჯი.

კახეთში მევენახეები ვარაუდობენ, რომ წელს რთველი უფო ადრე დაიწყება, ვიდრე იწყებოდა აქამდე, რადგან ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო ყურძენი დროზე ადრე დამწიფდება. გარდა ამისა, მევენახეთა ნაწილი ამბობს, რომ უმოკლეს დროში ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ ყურძნის სხვადსხვა დაავადება გამოიწვია და მოსავლის მოკრეფას აგვისტოს შუა რიცხვებიდან დაიწყებენ. ისინი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართავენ თხოვნით, რთველისთვის მზადებას ახლავე შეუდგნენ, რომ ქარხნებმა მოსავლის ჩაბარება უპრობლემოდ შეძლონ. მართალია, ყურძნის ფასი წინასწარ არ არის ცნობილი, მაგრამ მევენახეებს საკუთარი ხარჯები დაანგარიშებული აქვთ და სავარაუდო ფასსაც ასახელებენ, რომლის გადახდასაც ქარხნებისგან ელიან;

„2 ლარი მაინც არ უნდა ღირდეს საფერავი და 1 ლარი რქაწითელი?! შარშან 75 თეთრად იმისთანა კარგი ყურძენი იყო... მოსავალი გვალვისგან და სხვადასხვა დაავადებისგან ფუჭდება და ფასი მაინც იყოს კარგი“.

„საფერავი 3 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, რომ გლეხს რაღაც მაინც დარჩეს“.

„სახელმწიფომ უნდა იზრუნოს გლეხებზე და მოუმატოს ყურძნის ჩაბარების ფასი, რათა გლეხმა აინაზღაუროს დანახარჯი“.

უკვე ცნობილია, რომ 2018 წლის რთველი სუბსიდირების გარეშე ჩაივლის. გასულ წელს სუბსიდირება ნაწილობრივ იყო შენარჩუნებული კახეთში საბრენდე ჯიშის და რაჭაში სახვანჭკარე ყურძენზე, წელს კი ამ თვალსაზრისით ბიუჯეტში თანხა საერთოდ არ არის გათალისწინებული. ისევე როგორც გასულ წლებში, ახლაც რთვლის საკოორდინაციო საკითხებს ღვინის ეროვნული სააგენტო მოაგვარებს. როგორც ამ სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან მეხუზლამ გვითხრა, რთვლის შტაბი 20 აგვისტოს თელავში გაიხსნება და რთვლის დასრულებამდე იმუშავებს:

„არც ერთი მიმართულებით და არანაირ ყურძენზე სუბსიდია არ იქნება. რაც შეეხება ფასებს, როგორც ყოველთვის, დაარეგულირებს ბაზარი. კომპანიებმა, რომლებიც ვარაუდობენ ჩაბარებას და ფერმერებმა, რომლებიც აპირებენ ყურძნის გაყიდვას, უკვე წარსული გამოცდილებით უნდა ივარაუდონ, დაახლოებით თუ რა ფასი დადგინდება წელს. დღევანდელი პროგნოზით, შემიძლია ვთქვა, რომ საგანგებო შტაბი გვექნება გახსნილი და ვიქნებით მზადყოფნაში“.

ქარხნის ხელმძღვანელები ფასის დასახელებისგან თავს იკავებენ. ამბობენ, რომ წელს სახელმწიფოსგან ყურძნის სუბსიდირება არ მოხდება და ამიტომ განსაკუთრებული დაკვირვება მართებთ, რას გადაიხდიან და შემდეგ რა ფასად გაყიდიან უკვე დამზადებულ ღვინოს. ღვინის კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებლის ზურაბ ჩხაიძის თქმით, ფასი ყოველ წელს იცვლება და სხვაობა რამდენიმე თეთრია. მოახლოებულ რთველზე ილაპარაკეს სპეციალურად გამართულ შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებმა. როგორც „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელმა ზურაბ ჩხაიძემ თქვა, რთვლისთვის მზადების გარდა, შეხვედრაზე ლაპარაკი ჰქონდათ ღვინის სექტორზე, რომელიც განვითარებას საჭიროებს:

„დარგთან ერთად შეთანხმდა, რომ არის სარეგულაციო მიმართულებით ახალი ნაბიჯები გადასადგმელი. ქართული მეღვინეობა დღეს ნამდვილად განვითარების ეტაპზეა და ნამდვილად სჭირდება თამაშის ახალი წესი“.

მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის ნაწილი სტიქიამ და სხვადასხვა დაავადებამ გაანადგურა, წელს მხოლოდ კახეთის რეგიონში დაახლოებით 140 ათას ტონა ყურძნის მოსავალს ელოდებიან. 2017 წელს საფერავის ჯიშის ერთი კილოგრამი ყურძნის ფასი 1 ლარი და 30 თეთრიდან 2 ლარამდე მერყეობდა, რქაწითლისა კი 60-70 თეთრი იყო.

გიორგი ალადაშვილი

სანთელი

ელიზბარ ლომინაძე და თენგიზ კალანდაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა

გურამ მეფარიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

უშანგი დალალიშვილი ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება ახლობლის, უკეთილშობილესი პიროვნების

გურამ მეფარიშვილის

უეცარი გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს მეცნიერებთა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის წევრის, პროფესორ ბესარიონ მესხის დედა

ვარდო ღვინჯილია-მესხი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნარკობარიგები ჭკუას ვერ სწავლობენ

სასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გასაღებაში ბრალდებულებს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და წინასწარი შეთანხმების ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღებაში ბრალდებულები ა.ბ. და მ.პ. დამნაშავედ ცნო.

„ა.ბ.-მ და მ.პ.-მ წინასწარი შეთანხმებით, გასაღების მიზნით უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით 1.1181 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნივთიერება, საიდანაც 14 ცალად დაფასოებულ, დიდი ოდენობით 0,2563 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ნივთიერებას უკანონოდ ინახავდა ა.ბ., 6 ცალად დაფასოებულ 0,1062 გრ.-ს მ.პ., ხოლო 43 ცალად დაფასოებულ 0.6526 გრ. „ჰეროინის“ შემცველ ნივთიერებას ა.ბ. და მ.პ. ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში მდებარე დამხმარე ნაგებობაში ინახავდნენ. აღნიშნულმა პირებმა ნარკოტიკული ნივთიერების ნაწილი 0.035 გრ., 0.038 გრ. და 0.03 გრ. „ჰეროინის“ შემცველი ნივთიერება 2018 წლის 24 იანვარს 100-100 ლარის სანაცვლოდ, უკანონოდ გაასაღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 3 თანამშრომელზე, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების საკონტროლო შესყიდვას ახორციელებდნენ.

სამართალდამცველებმა ა.ბ. და მ.პ. 2018 წლის 24 იანვარს სოფელ ფონიჭალაში დაიკავეს. მათი პირადი და დამხმარე ნაგებობის, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა მითითებული ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო საკონტროლო შესყიდვის შემდეგ ნარკოტიკული ნივთიერება შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 3 თანამშრომლისგან იქნა ამოღებული.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.ბ. და მ.პ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“.

„ვაი, რა ცუდად ვარ!..“

უდავოდ **საინტერესოა იმის გარკვევა, მაინც რატომაა, რომ ალკოჰოლიანი სასმელები სხვადასხვა ადამიანებზე განსხვავებულად მოქმედებენ. რატომაა, რომ ვიღაცა ბევრ ღვინოს სვამს, ნაკლებად თვრება და რომ იტყვიან, „დედის რძესავით ირგებს“, ზოგს კი ორი-სამი ჭიქის შემდეგ „წყდება კისერი“ და „ცხვირი საცივში აქვს ჩაყოფილი“?**

თურმე, ალკოჰოლზე ჩვენი რეაქცია იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რა გენები მივიღეთ მემკვიდრეობით ჩვენი მშობლებისგან. **ალკოჰოლზე ორგანიზმის რეაქციაზე პასუხისმგებელი CYP2E1 გენია**. ისინი, ვინც ამ გენის მატარებელია, ალკოჰოლის მინიმალური დოზებისგანაც უმალ თვრებიან. ამასთან, აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანთა ორგანიზმი სპირტიან სასმელს უფრო ადვილადვე ინელებს და ისინი, ვინც მალე თვრება, ალკოჰოლიზმით არ ავადდებიან და გალოთება არ ემუქრებათ. მეცნიერთა აზრით, ეს გენი ადამიანებს 10-დან 20 პროცენტამდე აქვს.

არის ადამიანთა კიდევ ერთი კატეგორია, რომლებსაც დაუთრობლად სმაც შეუძლიათ და შემდეგ არც „პახმელია“ აწუხებთ. ეს თავისებურება ADH და ALDH გენებითაა განპირობებული, რომლებიც ალკოჰოლის ათვისებაზეა პასუხისმგებელი. თუკი ამ გენებში მუტაციები არ არსებობს, კაცი იშვიათად

უჩივის „პახმელიას“ და, გონების დაუკარგავად, საკმაოდ ბევრის დალევაც შეუძლია. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს გენები ოდნავ შეცვლილია, რის შედეგადაც ალკოჰოლის მცირე დოზის მიღების შემდეგაც კი საშინელი ბახუსი აქვს.

მთავარია, ერთმანეთში არ ავურიოთ „პახმელია“ და აბსტინენტური სინდრომი (ეს მდგომარეობა დიდი დოზებით ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებლებს ახასიათებთ), რომელიც ალკოჰოლისადმი დამოკიდებულებაზე ერთ-ერთი გამოვლინებაა. ალკოჰოლის მუდმივად მომხმარებელთა ორგანიზმში იგი დროთა განმავლობაში მიმოცვლითი პროცესების ბიოქიმიაში ერთვება. ამიტომაცაა, როცა ორგანიზმისთვის უკვე აუცილებელი ალკოჰოლის მიღება წყდება, კაცს დალევის ძლიერი სურვილი უჩნდება.

„პახმელია“ კი დროდადრო ალკოჰოლის მიმღებთ დალევიდან რამდენიმე საათის შემდეგ უჩნდებათ, რაც ორგანიზმის მიერ ეთილის სპირტის გადამუშავების პროდუქტებით მოწამლვის შედეგია.

„პახმელიის“ სინდრომის მოსახსნელად კი ექიმები მეტი წყლის (უმჯობესია მინერალურის) სმას, ვიტამინების (უმჯობესია B1, B4 და C) თხევადი ფორმების მიღებასა და კარგად გამოძინებას გვირჩევენ.

კიდევ შეგიძლიათ დაიცვათ რამდენიმე წესი, რომლებიც ბახუსის სინდრომს შეგიმსუბუქებთ:

— ნუ დააყოლებთ ალკოჰოლს გაზიან სასმელს, ვინაიდან ის ნახშირმჟავა გაზს შეიცავს, რომელიც ხელს უწყობს სისხლში ალკოჰოლის შეწოვას;

— ეცადეთ, არ აურიოთ ერთმანეთში ალკოჰოლიანი სასმელები, ვინაიდან განსხვავებული შემადგენლობის და წარმოების ხერხის გამო, ორგანიზმზე ალკოჰოლის ზემოქმედება შეიძლება გაძლიერდეს;

— მოერიდეთ ტკბილ ალკოჰოლიან სასმელებსა და დესერტებს, რადგან ისინი შაქარს შეიცავენ და ხელს უწყობენ ალკოჰოლის სისხლში შეწოვას, რაც იწვევს უფრო ძლიერ ინტოქსიკაციას და „პახმელიას“ ამძაფრებს;

— „პახმელიის“ დროს თავი მოარიდეთ ცხიმიანი საკვების მიღებას, რაც კიდევ უფრო ცუდად გაგხდით, უმჯობესია განტვირთვის დღე მოიწყოთ;

— სუფრაზე ალკოჰოლს შიგადაშიგ წყალი ჩაანაცვლეთ, რაც სისხლში ტოქსიკურ ნივთიერებათა ოდენობას შეამცირებს;

— ნუ დალევთ უზმოზე, ხოლო ვიდრე სმას დაიწყებდეთ, ცილოვანი საკვები მიირთვით.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ელზა და ბუძა ცხოვრებაშვილებს ვულოცავთ შვილიშვილის, პატარა ქართველი ვიკინგის დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გაზარდოს პატარა

ოდინ ირაკლის ძე ცხოვრებაშვილი-სტავი.

მალე ჩამობრძანებულიყოს მშობლებთან ერთად ნორვეგიიდან თავის პირველ სამშობლოში.

სიყვარულითა და კეთილი სურვილებით, ბებო-პაპას უახლოესი მეგობრების სახელით

ოთარ ტურაბელიძე და მამუკა ვაშაკიძე

ტრამპი მთავრობის მუშაობის შეჩერებით იმუქრება

„მე მზად ვარ, შევაჩერო მთავრობის მუშაობა, თუ დემოკრატები ხმას არ მისცემენ საზღვრის უსაფრთხოების საკითხს, რომელიც კედლის მშენებლობასაც მოიცავს... ჩვენ გვინდა, რომ ჩვენ ქვეყანაში ღირსეული ადამიანები ჩამოვიდნენ.“ — დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში. ტრამპი მთავრობის მუშაობის შეჩერებით იმუქრება, თუ კონგრესი მექსიკის საზღვართან მიმდინარე კედლის მშენებლობის დაფინანსებაზე უარს იტყვის. ბიუჯეტის დამტკიცების ვადა სექტემბერში იწურება, თუ პრეზიდენტი დოკუმენტს ხელს არ მოაწერს, ფედერალური მთავრობები ფინანსების არარსებობის გამო, მუშაობას შეწყვეტენ.

ტაჯიკეთში ავტომობილმა 7 უცხოელი გაიტანა

ტაჯიკეთის სოფელ სებისტონში ავტომობილი უცხოელების ჯგუფს დაეჯახა. უცხოელები ველოსიპედებით მიდიოდნენ, როდესაც მათ სავარაუდოდ Daewoo Leganza-ს მარკის ავტომობილი დაეჯახათ. 3 უცხოელი ადგილზე გარდაიცვალა, ერთი კი საავადმყოფოში, დანარჩენებმა მსუბუქი ტრამვები მიიღეს. გარდაცვლილები აშშ-ის, ნიდერლანდებისა და შვედეთის მოქალაქეები არიან. ტაჯიკეთის გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, პოლიციამ ერთი ეჭვმიტანილი დააკავა, კიდევ 2-მა დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, პოლიციამ მათი ლიკვიდაცია მოახდინა. ტაჯიკეთის პრეზიდენტმა აშშ-ის, ნიდერლანდებისა და შვედეთის პრეზიდენტებს მიუსამძიმრა.

საბერძნეთში ხანძარმა 91 ადამიანი იმსხვერპლა

საბერძნეთში ტყის მასშტაბურ ხანძარს 91 ადამიანი ემსხვერპლა, 25 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ამის შესახებ ინფორმაციას საბერძნეთის ეროვნულ სახანძრო სამსახური ავრცელებს. ამ დროისათვის ექსპერტებმა 59 ცხედრის იდენტიფიცირება მოახდინეს. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით მათში ხანძრისგან დაზარალებული 10 ადამიანი საავადმყოფოში ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იმყოფება, ამასთან მკურნალობას კი ისევ 44 მოქალაქე გადის. საბერძნეთში ხანძრის შედეგად დაღუპულების პატივსაცემად 3-დღიანი გლოვა გამოცხადდა.

სენაკის ულამაზესი თეატრის რეაბილიტაცია დაიწყო

თავისი არქიტექტურული ღირებულებით აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა დასავლეთ საქართველოში გამორჩეულია. იგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გახლავთ.

გამორჩეულია თეატრი თავისი წარსულითაც. მის სცენაზე აიდგა ფეხი არა ერთმა სახალხო არტისტმა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა: **ვალერიან გუნიამ, შალვა დადიანმა, აკაკი ხორავამ, დიმიტრი ჯაიანმა** და სხვებმა.

შენობა გასული საუკუნის 50 -იან წლებში დაპროექტდა (არქ. ვახტანგ გოგოლაძე) და აშენდა. მას შემდეგ მას სრული რეაბილიტაცია არ ჩატარებია. მით უფრო, რომ 1992 -93 წლებში მხედრიონის სამეგრელოზე შემოსევის დროს შენობა „სამხედრო შტაბად“ აქციეს და რისი გაფუჭება შეიძლებოდა, დაანგრიეს. დაწვეს რეკვიზიტები, დალეწეს ჭაღები.

ამჟამად მიმდინარეობს თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია, რომელიც ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით ხორციელდება. სარემონტო სამუშაოები თავისი მასშტაბით უპრეცედენტოა თეატრის ისტორიაში. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილისა და პირველი მოადგილის გრიგოლ ბაღათურიას მუდმივი მზრუნველობის პირობებში შენობას ჩაუტარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები. გამოიცვალა სახურავი და მოეწყო თბოიზოლაციისა და სადრენაჟე სისტემები. დასრულებულია გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი. სრულად განახლდა ელექტროგაყვანილობა.

ამჟამად მიმდინარეობს სცენის განახლება და თეატრის უნიკალური მხატვრობის რესტავრაცია, რომელზეც მხატვართა ჯგუფი მუშაობს. მალე დაიწყება სასცენო განათების და აკუსტიკის სისტემების მონტაჟი.

აკაკი ხორავას სახელობის თეატრის შენობის სრული განახლება დასრულდება 2019 წლის ბოლოსთვის, რომლის შემდეგ აქ შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ფესტივალებისა და სხვამ მასშტაბური ღონისძიებების მოწყობა.

ბორის დავითაია,
სენაკი.

აჭარა ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

3-8 სექტემბერს აჭარა გადამფრენ მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს. ფესტივალის ფარგლებში რეგიონს უცხოელი და ქართველი ორნითოლოგები და მოხალისეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ეწვევიან. ყოველდღიურად, ფესტივალის სტუმრებისთვის პროფესიონალი ექსპერტებისა და გიდების თანხლებით მოეწყობა შემეცნებით-გასართობი ექსკურსიები ფრინველებზე დაკვირვებისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე — ჭოროხის დელტა, სოფელი ჩაისუბანი, სოფელი სახალვაშო, ბათუმის ზღვისპირა პარკი, ნავსადგური და კოლხეთის ეროვნული პარკი. ასევე, გაიმართება ლექციები და პრეზენტაციები, რომლებზეც დასწრება ექსკურსიებში მონაწილეობის მსგავსად ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

ეკოტურიზმის ერთ-ერთ პოპულარულ მიმართულებად ქცეული ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი აჭარაში უდიდეს პოტენციალს ფლობს. შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ, ბათუმის შემოგარენი „აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის“ სახელითაა ცნობილი, სადაც ყოველწლიურად 1 000 000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. შედეგად, აჭარა მსოფლიოში მტაცებელ ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ უდიდეს კორიდორად ითვლება და ის მსოფლიოში მესამე ადგილზეა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4490; ევრო - 2.8479;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2072;
100 რუბლი - 3.8874; თურქული ლირა - 0.5024;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4448;
1000 სომხური დრამი - 5.0947.

ამინდი 31 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +39
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +36
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +36
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +36
თბილისი: ღამე +22, დღე +38

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge